*დანართი №2*

განათლების
ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრი

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სახელწოდება სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მიხედვით

ისტორიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
ისტორიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
არქეოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
არქეოლოგიისა და ანტიკური ცივილიზაციების საგანმანათლებლო პროგრამა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

სსიპ – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი

2023 წლის 10-11 იანვარი

დასკვნის პროექტის წარდგენის თარიღი

2023 წლის 16 მარტი

თბილისი

## შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ ..... 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა ..... 5

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან ..... 10

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა ..... 10
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა ..... 36
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა ..... 50
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა ..... 57
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები ..... 76

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | სსიპ – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 212693049 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| **თავმჯდომარე** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | თეიმურაზ პაპასქირი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| **წევრი** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ემზარ კახიძე, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| **წევრი** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ემზარ მაკარაძე, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| **წევრი** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ირინე დემეტრაძე-რენცი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| **წევრი** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ნინო პატარაია, შპს ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო |
| **წევრი** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | გიორგი არქანია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |

## I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

| | პროგრამა 1 | პროგრამა 2 | პროგრამა 3 | პროგრამა 4 | პროგრამა 5 | პროგრამა 6 | პროგრამა 7 | პროგრამა 8 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ისტორია | ისტორია | არქეოლოგია | არქეოლოგია და ანტიკური ცივილიზაციები | | | | |
| უმაღლესი განათლების საფეხური | ბაკალავრიატი | მაგისტრატურა | ბაკალავრიატი | მაგისტრატურა | აირჩიეთ შესაბამისი | აირჩიეთ შესაბამისი | აირჩიეთ შესაბამისი | აირჩიეთ შესაბამისი |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი ისტორიაში | ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი ისტორიაში | ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი არქეოლოგიაში | ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი არქეოლოგიაში | | | | |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | ისტორია და არქეოლოგია 0222 | ისტორია და არქეოლოგია 0222 | ისტორია და არქეოლოგია 0222 | ისტორია და არქეოლოგია 0222 | | | | |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/ საგნების/ საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება[1] | | | | | | | | |
| სწავლების ენა | ქართული | ქართული | ქართული | ქართული | | | | |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 240 | 120 | 240 | 120 | | | | |
| პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | აკრედიტებული 23.09.2011, №48 | აკრედიტებული 19.04.2012, №100 | აკრედიტებული 23.09.2011, №46 | აკრედიტებული 19.04.2012, №105 | | | | |

[1] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

## II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ**[2]

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ საკრედიტაციოდ წარმოდგენილ ისტორია-არქეოლოგიის კლასტერში დაჯგუფებულია ოთხი საგანმანათლებლო პროგრამა: 1. ისტორიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; 2. ისტორიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; 3. არქეოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; 4. არქეოლოგიისა და ანტიკური ცივილიზაციების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა. აღნიშნული პროგრამები ხორციელდება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორია-არქეოლოგიის დეპარტამენტის ბაზაზე.

ისტორიის საბაკალავრო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს, რომელიც იყოფა შემდეგი სახით:

1. 180 ECTS კრედიტი ეთმობა ძირითად პროგრამას:
    ა) 120 ECTS კრედიტი – სავალდებულო საგნები;
    ბ) 20 ECTS კრედიტი – თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო საგნები;
    გ) 40 ECTS კრედიტი – არჩევითი საგნები.
2. 60 ECTS კრედიტი ეთმობა დამატებით პროგრამას (სტუდენტის მიერ ასეთის არჩევის შემთხვევაში) ან თავისუფალ კომპონენტს.

ისტორიის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში სულ ჩართულია 41 ლექტორი, რომელთაგან 24-ს უკავია აკადემიური თანამდებობა (ყველა მათგანი აფილირებულია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტთან), 17 კი არის მოწვეული. ამჟამად ისტორიის საბაკალავრო პროგრამაზე ირიცხება 254 სტუდენტი.

ისტორიის სამაგისტრო პროგრამამ აკრედიტაციაზე წარსადგენად განიცადა სტრუქტურული ცვლილება და გაერთიანდა არსებული ორი პროგრამა – საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამა და ევროპისა და ამერიკის ახალი და უახლესი ისტორიის სამაგისტრო პროგრამა. განახლებულ პროგრამაში ისინი წარმოდგენილია კონცენტრაციების სახით. წარმოდგენილი ისტორიის სამაგისტრო პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს, რომელიც იყოფა შემდეგი სახით:

1. 30 ECTS კრედიტი პროგრამის სავალდებულო საგნები ორივე კონცენტრაციისთვის:
    ა) 25 ECTS კრედიტი – სავალდებულო საგნები;
    ბ) 5 ECTS კრედიტი – საკურსო ნაშრომი.
2. 45 ECTS კრედიტი – კონცენტრაციის სავალდებულო საგნები;
3. 15 ECTS კრედიტი – არჩევითი საგნები ორივე კონცენტრაციისთვის;
4. 30 ECTS კრედიტი – სამაგისტრო ნაშრომი.

ისტორიის სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში სულ ჩართულია 24 ლექტორი, რომელთაგან 17-ს უკავია აკადემიური თანამდებობა (ყველა მათგანი აფილირებულია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტთან), 7 კი არის მოწვეული. ამჟამად ისტორიის სამაგისტრო პროგრამაზე ირიცხება 27 სტუდენტი (23 – საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამაზე, 4 – ევროპისა და ამერიკის ახალი და უახლესი ისტორიის სამაგისტრო პროგრამაზე).

---

[2] პროგრამებთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი

არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს, რომელიც იყოფა შემდეგი სახით:

1. 180 ECTS კრედიტი ეთმობა ძირითად პროგრამას:
   ა) 120 ECTS კრედიტი – სავალდებულო საგნები;
   ბ) 20 ECTS კრედიტი – თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო საგნები;
   გ) 40 ECTS კრედიტი – არჩევითი საგნები.
2. 60 ECTS კრედიტი ეთმობა დამატებით პროგრამას (სტუდენტის მიერ ასეთის არჩევის შემთხვევაში) ან თავისუფალ კომპონენტს.

არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში სულ ჩართულია 36 ლექტორი, რომელთაგან 16-ს (6 პროფესორი და 10 ასოცირებული პროფესორი) უკავია აკადემიური თანამდებობა (ყველა მათგანი აფილირებულია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტთან), 20 კი არის მოწვეული (აქედან ერთი არის უცხოელი სპეციალისტი). ამჟამად არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე ირიცხება 99 სტუდენტი.

არქეოლოგიისა და ანტიკური ცივილიზაციების სამაგისტრო პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს, რომელიც იყოფა შემდეგი სახით:

1. 60 ECTS კრედიტი პროგრამის სავალდებულო საგნები ორივე კონცენტრაციისთვის:
   ა) 55 ECTS კრედიტი – სავალდებულო საგნები;
   ბ) 5 ECTS კრედიტი – საკურსო ნაშრომი.
2. 30 ECTS კრედიტი – არჩევითი საგნები;
3. 30 ECTS კრედიტი – სამაგისტრო ნაშრომი.

არქეოლოგიისა და ანტიკური ცივილიზაციების სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში სულ ჩართულია 20 ლექტორი, რომელთაგან 13-ს უკავია აკადემიური თანამდებობა (ყველა მათგანი აფილირებულია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტთან), 7 კი არის მოწვეული. ამჟამად არქეოლოგიისა და ანტიკური ცივილიზაციების სამაგისტრო პროგრამაზე ირიცხება 4 სტუდენტი.

კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების სტრუქტურები თანამიმდევრული და ლოგიკურია. პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი სრულად უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

მისანიჭებელი კვალიფიკაციები – ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ისტორიაში, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრი ისტორიაში, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი არქეოლოგიაში, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრი არქეოლოგიაში – შესაბამისობაშია როგორც პროგრამის შინაარსსა და შედეგებთან, ისე ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი სსიპ – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისტორია-არქეოლოგიის კლასტერში დაჯგუფებული საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების შესაფასებლად ჩატარდა 2023 წლის 10-11 იანვარს. ვიზიტმა წინასწარ შემუშავებული დღის წესრიგის მიხედვით ჩაიარა და მის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, ფაკულტეტის ადმინისტრაციას, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის ხელმძღვანელებს, აკადემიურ პერსონალს,

სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს, დამსაქმებლებს, მაგისტრანტებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებს. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა ასევე დაათვალიერა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კერძოდ, აუდიტორიები, კაბინეტები და ბიბლიოთეკა. ვიზიტის მსვლელობაში დადგინდა წარმოდგენილი დოკუმენტაციისა თუ ადგილზე არსებული რეალობის ურთიერთშესაბამისობა.
ვიზიტმა კოლეგიალურ ვითარებაში ჩაიარა და მისი მსვლელობისას რაიმე პრობლემები არ შექმნილა.

- საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

ისტორია-არქეოლოგიის კლასტერში წარმოდგენილი პროგრამების შესაბამისობა შემდეგია:

1. ისტორიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაშია ხუთივე სტანდარტთან:
2. ისტორიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაშია ხუთივე სტანდარტთან:
3. არქეოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაშია ხუთივე სტანდარტთან:
4. არქეოლოგიისა და ანტიკური ცივილიზაციების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაშია ხუთივე სტანდარტთან.

- რეკომენდაციები

პროგრამების შესწავლის შემდეგ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა შემდეგი რეკომენდაციები:

**1.4.1.** ისტორიის დამატებითი პროგრამის სასწავლო გეგმა უნდა გადამუშავდეს და დაკომპლექტდეს ძირითად პროგრამაში არსებული სავალდებულო საგნების ბაზაზე. ამასთანავე, სასურველია, რომ მასში შეტანილ იქნას არჩევითობის კომპონენტიც.
**2.4.1.** გადაიხედოს და შეიცვალოს სამაგისტრო და საკურსო ნაშრომების შეფასების წესი იმგვარად, რომ შემცირდეს კომისიის წევრების შეფასების ხვედრითი წილი.
**3.2.2.** ისტორიის სამაგისტრო პროგრამის სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებმა/თანახელმძღვანელებმა კონსულტაციებისას მაგისტრანტებს უფრო დეტალურად უნდა აუხსნან სამეცნიერო ნაშრომის წერის ნორმები და ამით უზრუნველყონ მაგისტრანტების მიერ აკადემიური წერის შესაბამისი სტანდარტების და ხარისხის სამაგისტრო ნაშრომების მომზადება.

- რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

პროგრამების შესწავლის შემდეგ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს აქვს შემდეგი რჩევები:

- **1.4.2.** სასურველი იქნება, თუ ისტორიის საბაკალავრო პროგრამაში ჩამატებული იქნება რამდენიმე არჩევითი საგანი აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიაზე (მაგალითად, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების შუა საუკუნეებისა და ახალი ისტორია, თურქეთის ისტორია, ირანის ისტორია, არაბული ქვეყნების ისტორია და ა.შ.), რომლებიც ხელს შეუწყობდა ამ რეგიონის ისტორიით დაინტერესებულ სტუდენტს თავისი ცოდნის გაღრმავებაში.
- **1.4.3.** სასურველია, რომ ისტორიის საბაკალავრო პროგრამაში, არჩევითი საგნის სახით, დაემატოს საბაკალავრო ნაშრომი, რათა სტუდენტებმა საბაკალავრო დონეზე დამოუკიდებლად ნაშრომის შესრულების გამოცდილება შეიძინონ.
- **1.4.4.** სასურველია, რომ არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში, არჩევითი საგნის სახით, დაემატოს საბაკალავრო ნაშრომი, რათა სტუდენტებმა საბაკალავრო დონეზე დამოუკიდებლად ნაშრომის შესრულების გამოცდილება შეიძინონ.
- **1.5.1.** სასურველია, განახლდეს სავალდებულო ლიტერატურა შემდეგ სილაბუსებში: „დასავლეთ ევროპის ისტორია XIV ს. I ნახევრიდან XVII საუკუნეების I ნახევრამდე"; „დასავლეთ ევროპის ქვეყნებისა და აშშ-ს ისტორია 1640-1815 წლებში", „ევროპის ქვეყნებისა და აშშ-ის უახლესი ისტორია (1939-1990 წწ.)".
- **1.5.2.** სასურველია, გაფართოვდეს შინაარსის თემატიკა არაბული ქვეყნების კუთხით საგანში „ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების უახლესი ისტორია", სადაც შინაარსში 10 კვირა ეთმობა თურქეთის ისტორიასთან დაკავშირებულ საკითხებს, 4 კვირა – ირანს და 2 კვირა – ისრაელს.
- **1.5.3.** სასურველია, განახლდეს სავალდებულო ლიტერატურა შემდეგ სილაბუსებში: „აშშ-ის ისტორია 1900-1941 წლებში", „აშშ-ის ისტორია 1941 – 2000 წლებში", „დიდი ბრიტანეთი 1900-1939 წლებში", „დიდი ბრიტანეთი 1940-2010 წლებში".
- **1.5.4.** უმჯობესი იქნება, თუ ლექტორ-მასწავლებლები რუსულ ლიტერატურაში დაცულ კონტენტს თავიანთ რიდერებში მოათავსებენ და ასე მიაწვდიან სტუდენტებს;
- **1.5.5.** სასურველია, ანტიკური არქეოლოგიის სილაბუსის შინაარსში დაემატოს ელინისტური ხანისა და რომაული პერიოდის თემები.
- **3.2.1.** სასურველია, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებმა და უსდ-ს პერსონალმა გააძლიეროს სტუდენტთა ინფორმირება პლაგიატის შემოწმებისა და გამოვლენის წესების შესახებ.
- **5.1.1.** სასურველია, შრომის ბაზრის კვლევის დოკუმენტში ჩანდეს, თუ ამ კვლევიდან გამომდინარე, რა გასაუმჯობესებელი მხარეები გამოიკვეთა, რა გამოცდილება იქნა პროგრამაზე მუშაობისას გაზიარებული და რა კუთხით განაპირობა ამ მოსაზრებებმა პროგრამაში გარკვეული ცვლილებების განხორციელების აუცილებლობა.
- **5.2.1.** სასურველია, გარე კოლეგიალური შეფასებების დოკუმენტთან დაკავშირებით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გასცეს რეკომენდაცია, რომ გარე შემფასებელთა შეფასება იყოს უფრო დეტალური, გამოიკვეთოს გასაუმჯობესებელი მხარეები და გაიცეს უფრო მკაფიო რეკომენდაციები პროგრამასთან დაკავშირებით, რომ დოკუმენტი არ ატარებდეს ზოგად, ზედაპირულ ხასიათს.
- **5.3.1.** სასურველია, სტუდენტების კითხვარები წარმოდგენილი იყოს უფრო ინფორმაციულად და სტუდენტებს მიეცეთ უფრო მკაფიო მოსაზრებების დაფიქსირების

საშუალება, რათა შესაბამისმა სამსახურებმა იცოდეს სტუდენტების აზრი და შეძლოს თვალყური ადევნოს პროგრესს, რომელიც განხორციელდა სტუდენტების მიერ გამოთქმული მოსაზრებების საფუძველზე.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[3]

▪ ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არგაზიარების არგუმენტაციის თაობაზე

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

[3] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის/პროგრამებისთვის

## III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას. კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები სწავლის სფეროს შინაარსის გათვალისწინებით ლოგიკურად დაკავშირებულია ერთმანეთთან და ვითარდება უმაღლესი განათლების საფეხურების შესაბამისად.

#### 1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

კლასტერში წარმოდგენილი პროგრამების მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია. ყველა პროგრამა ითვალისწინებს სწავლის სფეროს, სწავლების საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს. თითოეული პროგრამის მიზანი შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისი დონის საკვალიფიკაციო აღმწერის მოთხოვნებს. შესაბამის საფეხურებზე განსახორციელებელ პროგრამებს შორის არსებობს ბმა.
კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების ჩამოყალიბებისას გათვალისწინებული იყო შრომის ბაზრის მოთხოვნები, საერთაშორისო ბაზრის ტენდენციები და დარგის განვითარების სტრატეგიები.
საგანმანათლებლო პროგრამები, სწავლის სფეროს და/ან სწავლების საფეხურის თავისებურებიდან გამომდინარე, ასახავს მათი ინტერნაციონალიზაციის ძირითად საკითხებს.
კლასტერში მოცემული პროგრამები განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე და მათი გაცნობა შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს.

**აღწერა და ანალიზი – პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მთავარი მიზანი დარგის თანამედროვე მიღწევების გათვალისწინებით მაღალკვალიფიციური კურსდამთავრებულის მომზადება, რომელსაც გააჩნია საქართველოსა და მსოფლიო ისტორიის ძირითადი პერიოდების, ისტორიული პროცესის მთლიანობის, ისტორიის ძირითადი მეთოდების, თეორიების, სხვადასხვა კონცეფციებისა და დამხმარე დისციპლინების შესახებ ცოდნა. გარდა ამისა, მიზნები ითვალისწინებს შესაბამისი წყაროებისა და ლიტერატურის

„მოძიება-გამოყენების, მოვლენათა იდენტიფიცირება-დაჯგუფების, სინქრონულ და დიაქრონიულ ჭრილში დანახვის, მათი გამომწვევი მიზეზების დადგენის, კრიტიკული ანალიზისა და ობიექტურად შეფასების, სხვადასხვა ცივილიზაციის პატივისცემის, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურულ ღირებულებებში ორიენტირების“ უნარები.
ისტორიის საბაკალავრო პროგრამის მიზნები სრულად შეესაბამება საბაკალავრო საფეხურის მოთხოვნებს. მასში გათვალისწინებულია ისტორიის დარგის ძირითადი მიმართულებები და წარმოჩენილია საბაკალავრო პროგრამის თავისებურებები. პროგრამის მიზნებში კარგად ჩანს, თუ რა სახის ცოდნა უნდა მიიღოს და რა უნარები თუ კომპეტენციები გამოიმუშაოს პროგრამის კურსდამთავრებულმა.
ისტორიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების ჩამოყალიბებისას გათვალისწინებული იყო შრომის ბაზრის მოთხოვნები, საერთაშორისო ბაზრის ტენდენციები და დარგის განვითარების სტრატეგიები.
ისტორიის საბაკალავრო პროგრამის მიზნები სრულ შესაბამისობაშია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიასთან, ხედვებსა და ფასეულობებთან, ასევე უმაღლესი სასწავლებლის სტრატეგიულ მიმართულებებთან.

აღწერა და ანალიზი – პროგრამა 2 (ისტორია, მაგისტრატურა)

**ისტორიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა** ტრადიციული მიდგომებისა და ისტორიული მეცნიერების თანამედროვე მიღწევებზე დაყრდნობით, კონცენტრაციების მიხედვით, კურსდამთავრებულს აძლევს XIX-XX საუკუნეების საქართველოს ისტორიის ან ევროპისა და ამერიკის ახალი და უახლესი ისტორიის ღრმა, საფუძვლიან და სისტემურ ცოდნას. სტუდენტს აძლევს პრობლემის დანახვის, მის გარშემო არსებული წყაროების, რელევანტური სამეცნიერო ლიტერატურის მოძიება-კლასიფიკაციის, სინთეზის, კრიტიკული ანალიზისა და ობიექტური ინტერპრეტაციის უნარს.
ისტორიის სამაგისტრო პროგრამის მიზნები სრულად შეესაბამება სამაგისტრო საფეხურის მოთხოვნებს. პროგრამის მიზნებში კარგად ჩანს, თუ რა სახის ცოდნა უნდა მიიღოს და რა უნარები თუ კომპეტენციები გამოიმუშაოს პროგრამის კურსდამთავრებულმა.
ისტორიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების ჩამოყალიბებისას გათვალისწინებული იყო შრომის ბაზრის მოთხოვნები, საერთაშორისო ბაზრის ტენდენციები და დარგის განვითარების სტრატეგიები.
პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროსა და საფეხურის სპეციფიკას, შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, ისტორიის დარგობრივ მახასიათებლებს, ნათლად ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია. პროგრამის მიზნების საჯარო და ხელმისაწვდომია დაინტერესებულ პირთათვის ვებგვერდის საშუალებით.

აღწერა და ანალიზი – პროგრამა 3 (არქეოლოგია, ბაკალავრიატი)

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლების სფეროს, საფეხურს და მიმართულია

სტუდენტისათვის იმ აუცილებელი ცოდნისა და უნარების გადაცემა-გამომუშავებაზე, რომელიც შეესაბამება არქეოლოგიის თანამედროვე სტანდარტებს. პროგრამა ორიენტირებულია ისეთი სპეციალისტების მომზადებაზე, რომლებიც შეძლებენ, გაერკვან არქეოლოგიის ამა თუ იმ ეტაპის თავისებურებებში და მათ ურთიერთგავლენებში; ექნებათ სპეციფიკური უნარები, რომლებიც მათ არქეოლოგიური ეტაპების შეფასების და შემდგომი დასკვნების გამოტანის საშუალებას მისცემს. კურსდამთავრებულს ასევე ექნება პრაქტიკული უნარები და გააცნობიერებს საკუთარ პასუხისმგებლობას.

არქეოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, მოამზადოს მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები არქეოლოგიაში; შეასწავლოს არქეოლოგიის სფეროს ძირითადი თეორიები, კონცეფციები, დარგობრივი მიმართულებები და დამხმარე დისციპლინები; არქეოლოგიური ძეგლების და არტეფატების სახეობები; არქეოლოგიური პერიოდიზაცია და ქრონოლოგია; საქართველოსა და მსოფლიოს ძირითადი არქეოლოგიური ძეგლები; განუვითაროს არქეოლოგიური კვლევისა და კოლექციების დაცვის საბაზისო უნარები და პრაქტიკული ჩვევები, ისტორიული დროის მატერიალიზაციისა და წარსულის სხვადასხვა მოვლენათა რეკონსტრუქცია–ინტერპრეტაციის უნარები. ასევე მნიშვნელოვანია ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებისა და ეროვნული ტრადიციების დაცვის, დამკვიდრების, საზოგადოების ეთიკური და კულტურული განვითარების ხელშეწყობის უნარ-ჩვევები.

პროგრამის მიზნებიდან გამოსაყოფია, რომ ის ორიენტირებულია იმაზე, რომ სტუდენტს მისცეს პროფესიასთან დაკავშირებული სხვადასხვა ასპექტის საბაზისო ცოდნა. პროგრამა ფოკუსირებულია სტუდენტს გააცნოს არქეოლოგია, როგორც ინტერდისციპლინური მეცნიერება, სხვადასხვა ეპოქების კულტურათა სპეციფიკა, რომელიც ასევე მოიცავს მომიჯნავე საგნებს. პროგრამა სტუდენტს ძირეულად ასწავლის არქეოლოგიის დარგის პრინციპებს, მიდგომებს, თანამედროვე თეორიებს, ასევე ხელს უწყობს პასუხისმგებლობის, ეთიკის და დამოუკიდებელი მუშაობის უნარების გამომუშავებას. სტუდენტი ყველა პრაქტიკულ სამუშაოს ასრულებს ხელმძღვანელის ზედამხედველობით და დახმარებით.

აწსუ-ს ზოგადად და კერძოდ წინამდებარე პროგრამას ძლიერი საერთაშორისო კონტაქტები გააჩნია. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რომ დამყარდა საქმიანი ურთიერთობები კრუკოვსკის სახელობის მულტიდისციპლინარულ კვლევით ცენტრთან, რომელიც ფინანსდება პოლონეთის რესპუბლიკის მხრიდან და ტერიტორიულად განლაგებულია ქუთაისში. უკვე რამდენიმე კურსდამთავრებული გაგზავნილ იქნა ვარშავაში. სტუდენტები მონაწილეობას იღებენ კონფერენციებში. ეს ფაქტი ინტერვიუებზე აღნიშნეს კურსდამთავრებულებმა და დამსაქმებლებმაც.

პროგრამის მიზნები მკაფიოდაა ფორმულირებული და მიღწევადია პროგრამის შინაარსიდან და სტრუქტურიდან გამომდინარე, რეალისტურია ასევე შესაბამისი ცოდნის და პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე გათვალისწინებული დრო და შიანაარსობრივი ბალანსი ცალკეულ კურსებს შორის. ყოველივე ეს შეესაბამება სწავლების საფეხურს და მასში ასახულია ის ძირითადი უნარები და თეორიული ცოდნა, რომელიც უნდა მიიღოს კურსდამთავრებულმა. პროგრამა შეესაბამება ასევე საგანმანათლებლო დაწესებულების მისიას, ტრადიციებს და სტრატეგიას, ასევე მორგებულია ადგილობრივი შრომის ბაზრის თავისებურებებსა და მოთხოვნებზე.

აღწერა და ანალიზი – პროგრამა 4 (არქეოლოგია და ანტიკური ცივილიზაციები, მაგისტრატურა)

სამაგისტრო პროგრამა შემუშავებულია ძირითადად არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამასთან ბმაში და მისი განვითარების შემდეგ ეტაპს წარმოადგენს, თუმცა ის ღიაა ასევე სხვა სფეროში საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულებისთვის. სტუდენტი მიიღებს გაღრმავებულ ცოდნას არქეოლოგიის წყაროთმცოდნეობით ბაზაში; ანტიკური ეპოქის საქართველოს, საბერძნეთის, რომის, ევროპის და აღმოსავლეთის არქეოლოგიის უახლესი მიღწევების და განვითარების ტენდენციებში; არქეოლოგიური კვლევის უახლესი მეთოდების შესახებ. პროგრამის მიზანია, კურსდამთავრებულს გააჩნდეს არქეოლოგიური ძეგლების/ობიექტების/არტეფაქტების კულტურული კუთვნილების და ქრონოლოგიის განსაზღვრის, კლასიფიკაცის, ინტერპრეტაციის, სხვა ანალოგებთან დაკავშირების, კრიტიკული გააზრების, ანალიზის და სინთეზის, დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბების, ინოვაციური კვლევის შედეგების წარდგენის უნარები, ასევე საკაცობრიო ცივილიზაციის მიღწევების და ღირებულებების პატივისცემა, პროფესიული ეთიკის და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების აღიარების უნარი, არქეოლოგიის სპეციალობისათვის დამახასიათებელ მრავალფეროვან გარემოში ადაპტაციის უნარი და კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენის, გადარჩენის, დაცვისა თუ პოპულარიზაციის უნარები.
პროგრამა პირველ რიგში მიზნად ისახავს სტუდენტს გაუღრმავოს ცოდნა ანტიკურ არქეოლოგიაში, ასევე საფუძვლიანად შეასწავლოს მის მიერ არჩეული მიმართულების პრინციპები, მიდგომები, სტანდარტები, თანამედროვე თეორიები, პროფესიული ეთიკის ნორმები. სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტს შეუძლია უფრო მეტად გამოსცადოს თავი დამოუკიდებლად ან გუნდურად. პროგრამის მიზანია, მოამზადოს ანტიკური არქეოლოგიის სპეციალისტი, რომელსაც კონკრეტული მიმართულებით შესაბამისი თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარები გააჩნია.
არქეოლოგიისა და ანტიკური ცივილიზაციების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები და კურსდამთავრებულები აქტიურად იღებენ მონაწილეობას კრუკოვსკის სახელობის მულტიდისციპლინარულ კვლევით ცენტრთან ერთობლივად განხორციელებულ პროექტებში.
პროგრამის მიზნები მკაფიოდაა ფორმულირებული და მიღწევადია პროგრამის შინაარსიდან და სტრუქტურიდან გამომდინარე, უმეტესად რეალისტურია ასევე შესაბამისი ცოდნის და პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე გათვალისწინებული დრო და შინაარსობრივი ბალანსი ცალკეულ კურსებს შორის. ყოველივე ეს შეესაბამება სამაგისტრო სწავლების საფეხურს და მასში ასახულია ის ძირითადი უნარები და თეორიული ცოდნა, რომელიც უნდა მიიღოს კურსდამთავრებულმა. პროგრამა შეესაბამება ასევე საგანმანათლებლო დაწესებულების მისიას, ტრადიციებს და სტრატეგიას, ასევე მორგებულია ადგილობრივი შრომის ბაზრის თავისებურებებსა და მოთხოვნებზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კლასტერში წარმოდგენილი პროგრამები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- უნივერსიტეტის მისია – https://atsu.edu.ge/index.php/mission-geo;

- უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა – https://atsu.edu.ge/index.php/strategic-plan-geo;
- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა – https://atsu.edu.ge/index.php/humanitarian-strategic-plan-geo;
- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კვლევითი პროფილი – https://atsu.edu.ge/index.php/humanitarian-research-profile-geo;
- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროფილი – https://atsu.edu.ge/index.php/humanitarian-educational-profile-geo;
- შრომისა და დასაქმების ბაზრის კვლევა.

**რეკომენდაციები –** წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამებმა დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები –** არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

**კლასტერის საერთო რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

**პროგრამა 1** (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:** **რჩევ(ებ)ი:**

**პროგრამა 2** (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**პროგრამა 3** (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

რჩევ(ებ)ი:

**პროგრამა 4** (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

| კომპონენტი 1.1 პროგრამის მიზნები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (ისტორია, მაგისტრატურა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 (არქეოლოგია, ბაკალავრიატი) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 (არქეოლოგია და ანტიკური ცივილიზაციები, მაგისტრატურა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების სწავლის შედეგები შეესაბამება მათ მიზნებს და მოიცავს შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას. არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური.
კლასტერში დაჯგუფებული სხვადასხვა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები სირთულის, კომპლექსურობისა და სწავლის სფეროს შინაარსის თვალსაზრისით არის თანმიმდევრული, და ვითარდება შესაბამისი საფეხურების გათვალისწინებით. ისინი სრულად შეესაბამება როგორც ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნებს, ისე შესაბამის, ისტორიის

ან არქეოლოგიის, დარგობრივ მახასიათებლებში მოცემული საბაკალავრო თუ სამაგისტრო დონისადმი განკუთვნილ სწავლის შედეგებს. ისინი საშუალებას აძლევს კურსდამთავრებულს, სწავლა გააგრძელოს უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე ან დასაქმდეს პროფესიის შესაბამისად.
კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები შემუშავებულია ყველა დაინტერესებული მხარის (აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთარებულები, დამსაქმებლები) ჩართულობით, გათვალისწინებულია შრომის ბაზრის მოთხოვნები, პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლები.

აღწერა და ანალიზი – პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)

ისტორიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების თანახმად, კურსდამთავრებულს ექნება შემდეგი დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციები: წარსულის ზოგადი დიაქრონული ჩარჩოს, საქართველოსა და მსოფლიო ისტორიის ძირითადი ისტორიული პერიოდების, განსხვავებულ ისტორიულ ეპოქათა მახასიათებლების, დარგობრივი ტერმინოლოგიის, ძირითადი პრინციპების, თეორიებისა და კონცეფციების, ისტორიის დამხმარე დისციპლინების შესახებ ფართო ცოდნა; საქართველოზე მსოფლიო ისტორიული პროცესის ზეგავლენისა და მისგან გამოწვეულ პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ თავისებურებების ახსნა; პირველადი და მეორეული ისტორიული წყაროების მოძიება, მათი ერთმანეთისაგან განსხვავება და კრიტიკულად გააზრება ისტორიის რეკონსტრუქციისას; ისტორიის მეცნიერების დარგობრივი ცნებებისა და ტერმინოლოგიის, ასევე კონკრეტული პრობლემების გადასაჭრელად ძირითადი მეთოდებისა და პრინციპების გამოყენება; სხვადასხვა ისტორიული მოვლენის იდენტიფიკაცია და ეპოქებისა თუ ისტორიული პროცესების შედარებითი ანალიზი; ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან ისტორიოგრაფიულ პრობლემებზე, განსხვავებულ მიდგომებსა და პრინციპებზე თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით; წინასწარ განსაზღვრული ინსტრუქციების შესაბამისად, კვლევითი და პრაქტიკული ხასიათის ამოცანების გადაჭრა, მიღებული შედეგების ინტერპრეტაცია და, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, ნაშრომის შექმნა; განსხვავებული რწმენისა და შეხედულებების ადამიანთა მიმართ ტოლერანტობა და ადამიანის უფლებებისა თუ თავისუფლებების პატივისცემა; სამართლიანობის, მიუკერძოებლოებისა და ეთიკური ნორმების დაცვა ისტორიული მოვლენების შეფასებისას; პროფესიული საქმიანობის განხორციელება ურთიერთთანამშრომლობისა და გუნდური მუშაობის პრინციპების დაცვით.
პროგრამის შემუშავებაში ჩართული იყვნენ როგორც დამსაქმებლები, ისე მოქმედი სტუდენტები და კურსდამთავრებულები. ისტორიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები საჯაროა და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს როგორც დარგობრივ ცოდნას, ისე უნარებს, პასუხისმგებლობასა თუ ავტონომიურობას, რომელსაც მიიღებს კურსდამთავრებული. ისინი ლოგიკურ ბმაშია პროგრამის მიზნებთან, რაც დასტურდება შესაბამისი რუკებით. გარდა ამისა, პროგრამის სწავლის შედეგები სრულად შეესაბამება როგორც ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნებს, ისე ისტორიის დარგობრივ მახასიათებელში მოცემულ საბაკალავრო

დონისადმი განკუთვნილ სწავლის შედეგებს და საშუალებას აძლევს კურსდამთავრებულს, სწავლა გააგრძელოს უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე – მაგისტრატურაში ან დასაქმდეს პროფესიის შესაბამისად.

აღწერა და ანალიზი – პროგრამა 2 (ისტორია, მაგისტრატურა)

ისტორიის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების თანახმად, კურსდამთავრებულს ექნება შემდეგი დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციები: ისტორიული კვლევის მეთოდოლოგიის სტრუქტურულ დონეებს, ისტორიული პროცესისა და ადამიანთა საზოგადოების განვითარების იმანენტურ ლოგიკას, ისტორიული პროცესის ერთიანობას და მრავალგანზომილებიანობას, სოციალური დეტერმინიზმის პრობლემებს, ლოგიკის კანონებს, კულტურათა დაპირისპირებისა თუ დიალოგის კონცეპტუალურ საფუძვლების განსაზღვრა; საქართველოში, ევროპასა და აშშ-ში მიმდინარე ისტორიულ პროცესებს და კონკრეტული პრობლემის სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის განმაპირობებელ ფაქტორებსა და მიზეზების მიმოხილვა; კონცენტრაციის მიხედვით, XIX-XX საუკუნეების საქართველოს საზოგადოების, სახელმწიფო სისტემის, საეკლესიო ცხოვრების, სოციალური და ეკონომიკური სტრუქტურის, დიპლომატიური ურთიერთობების, კულტურის, ქართული ეროვნული მოძრაობის, პოლიტიკურ ლიდერთა მოღვაწეობის ან საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, აშშ-ს ახალი და უახლესი ისტორიისა და საერთაშორისო ურთიერთობების პრობლემური საკითხების სისტემური და საფუძვლიანი ცოდნა; კონკრეტული კვლევითი პრობლემის გადაწყვეტისთვის აუცილებელი წყაროთმცოდნეობითი ბაზისა და რელევანტური სამეცნიერო ლიტერატურის მოძიება, ისტორიული წყაროებისა და ისტორიოგრაფიული მასალების სისტემატიზება და დააკავშირება საკვლევი თემატიკის ცალკეულ მდგენელთან, მათ შორის ურთიერთკავშირის დამადასტურებელი ლოგიკური ჯაჭვის პოვნა და, პროცესის მამოძრავებელი ძალებისა თუ ფაქტორების იდენტიფიცირების გზით, მის არსისა და მნიშვნელობის ახსნა; სხვადასხვა ისტორიული სკოლის წარმომადგენელთა მიერ კონკრეტული პრობლემის კვლევის პროცესში გამოყენებულ მიდგომების, მეთოდოლოგიის გაანალიზება და კრიტიკულად შეფასება, ისტორიულ გამოკვლევაში კონკრეტული ავტორის მიერ წყაროების შერჩევითად გამოყენების გზით ისტორიის ფალსიფიცირების მცდელობის დადგენა; ზეპირი და წერილობითი ფორმით სპეციალისტებისა თუ ფართო საზოგადოების წინაშე საკუთარი კვლევის წარდგენა საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით; ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის პრინციპის გათვალისწინება სენსიტიური პრობლემის ანალიზისას, ობიექტური შეფასების ჩამოყალიბება რელევანტური წყაროებისა და ლიტერატურის შერჩევითად გამოყენების გამორიცხვის მეშვეობით; მულტიდისციპლინურ სასწავლო თუ სამუშაო გარემოში ადაპტირება და პასუხისმგებლობის აღება; აკადემიური ეთიკის ნორმების დაცვით სამეცნიერო ნაშრომის დაწერა და კონკრეტული ისტორიული პრობლემის გარშემო არსებული ცოდნის გაფართოების საქმეში საკუთარი წვლილის შეტანა.
პროგრამის შემუშავებაში ჩართული იყვნენ როგორც დამსაქმებლები, ისე მოქმედი სტუდენტები და კურსდამთავრებულები. ისტორიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები საჯაროა და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს როგორც დარგობრივ ცოდნას, ისე უნარებს, პასუხისმგებლობასა თუ ავტონომიურობას, რომელსაც მიიღებს კურსდამთავრებული. ისინი ლოგიკურ ბმაშია პროგრამის მიზნებთან, რაც დასტურდება შესაბამისი რუკებით. გარდა ამისა, პროგრამის სწავლის შედეგები სრულად შეესაბამება როგორც ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნებს, ისე ისტორიის დარგობრივ მახასიათებელში მოცემულ საბაკალავრო დონისადმი განკუთვნილ სწავლის შედეგებს და საშუალებას აძლევს კურსდამთავრებულს, სწავლა გააგრძელოს უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე – დოქტორანტურაში ან დასაქმდეს პროფესიის შესაბამისად.

აღწერა და ანალიზი – პროგრამა 3 (არქეოლოგია, ბაკალავრიატი)

არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების თანახმად, კურსდამთავრებულს ექნება შემდეგი დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციები: ფართო ცოდნა არქეოლოგიის ისტორიული განვითარების გზების, დარგობრივი მიმართულებებისა და ტერმინოლოგიის, ძირითადი პრინციპების, თეორიებისა და კონცეფციების, არქეოლოგიური ძეგლების/არტეფაქტების სახეობებისა და მათი პერიოდიზაცია-ქრონოლოგიის, დამხმარე დისციპლინების, საქართველოსა და მსოფლიოს ძირითადი არქეოლოგიური ძეგლების, არქეოლოგიური კვლევის მეთოდების, არტეფაქტების კონსერვაციისა და რესტავრაციის საფუძვლების შესახებ; არქეოლოგიის ადგილისა და მნიშვნელობის განსაზღვრა კაცობრიობის ისტორიის ამსახველი მასალების მოპოვება-ინტერპრეტაციის საქმეში და მისი განხილვა სხვადასხვა ასპექტების (ისტორიული, ქრონოლოგიური, პოლიტიკური, სოციალური, საზოგადოებრივი, ეკონომიკური, კულტურული, საგანმანათლებლო და სხვ,) კონტექსტში; ხელმძღვანელის მითითებების შესაბამისად, არქეოლოგიურ ძეგლზე საველე სამუშაოების წარმოება: არქეოლოგიური სამუშაოების ორგანიზება, ძეგლის/არტეფაქტის მოძიება, გასათხრელი ფართობის მომზადება, ზოგიერთი არქეომეტრიული მეთოდების გამოყენება, კულტურული ფენის აღება, პრეპარაცია, წერილობითი, გრაფიკული და ფოტო ფიქსაცია, სტრატიგრაფიაზე დაკვირვება, არტეფაქტების ალაგება, გაზომვა, დაარქივება; არტეფაქტების კამერალური დამუშავება (მასალის გასუფთავება, დახარისხება, ფიქსაციისათვის მომზადება) და საცავებში (არქეოლოგიური ბაზა, მუზეუმი) განთავსება, საველე დავთარისა და დღიურის წარმოება; მოპოვებული არქეოლოგიური ძეგლების და არტეფაქტების აღწერა, ქრონოლოგიური და კულტურული კუთვნილების განსაზღვრა, კლასიფიკაცია, ფორმისა და შინაარსის ინტერპრეტაცია და ანალიზი; ბიბლიოთეკებში, არქივებსა და ელექტრონულ სამეცნიერო ბაზებში შესაბამის წყაროებისა და ლიტერატურის მოძიება და, მათი ურთიერთშეჯერების გზით, არგუმენტირებული დასკვნების ჩამოყალიბება; კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის შედეგების შესახებ სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან მსჯელობა და საინფორმაციო თუ საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენება; არქეოლოგიურ ძეგლზე მუშაობისას პროფესიული ეთიკის, ურთიერთთანამშრომლობის, პასუხისმგებლობის, სამუშაო რესურსების სათანადო გამოყენებისა და დროის რაციონალური მართვის პრინციპების გამოყენება; აკადემიური კეთილსინდისიერების კრიტერიუმებით ხელმძღვანელობა არქეოლოგიური ძეგლისა და არტეფაქტების აღწერისას თუ მონაცემთა ინტერპრეტაციისას;

მულტიკულტურულ სამყაროში არქეოლოგიური კულტურებისა და ცივილიზაციების მრავალფეროვნების შეფასება.
პროგრამის შემუშავებაში ჩართული იყვნენ როგორც დამსაქმებლები, ისე მოქმედი სტუდენტები და კურსდამთავრებულები. არქეოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები საჯაროა და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს როგორც დარგობრივ ცოდნას, ისე უნარებს, პასუხისმგებლობასა თუ ავტონომიურობას, რომელსაც მიიღებს კურსდამთავრებული. ისინი ლოგიკურ ბმაშია პროგრამის მიზნებთან, რაც დასტურდება შესაბამისი რუკებით. გარდა ამისა, პროგრამის სწავლის შედეგები სრულად შეესაბამება როგორც ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნებს, ისე არქეოლოგიის დარგობრივ მახასიათებელში მოცემულ საბაკალავრო დონისადმი განკუთვნილ სწავლის შედეგებს და საშუალებას აძლევს კურსდამთავრებულს, სწავლა გააგრძელოს უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე – მაგისტრატურაში ან დასაქმდეს პროფესიის შესაბამისად.

აღწერა და ანალიზი – პროგრამა 4 (არქეოლოგია და ანტიკური ცივილიზაციები, მაგისტრატურა)

არქეოლოგია და ანტიკური ცივილიზაციების სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების თანახმად, კურსდამთავრებულს ექნება შემდეგი დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციები: ღრმა და სისტემური ცოდნა არქეოლოგიური კვლევის მეთოდიკის, წყაროთმცოდნეობითი ბაზის და საკანონმდებლო ნორმების შესახებ; ანტიკური ეპოქის საქართველოს, საბერძნეთის, რომის, ევროპისა და აღმოსავლეთის არქეოლოგიის უახლესი მიღწევების განხილვა თანამედროვე ინტერდისციპლინარული კვლევების ჭრილში; კოლხურ-იბერიულ კულტურაზე ანტიკური ცივილიზაციის გავლენის განსაზღვრა, ისტორიული პროცესის სხვადასხვა ასპექტის რეკონსტრუქცია-ინტერპრეტაციისა და განვითარების კანონზომიერებების დადგენა; საველე სამუშაოებისას დარგის კვლევის თანამედროვე მეთოდებისა და სტანდარტების გამოყენება: არქეოლოგიური ძეგლის დაზვერვა, აღმოჩენა, ადგილის დათვალიერება, გათხრისწინა კვლევები, ზედაპირულ მასალათა აკრება, გასათხრელი ადგილის შერჩევა, კულტურული ფენების გათხრა და სტრატიგრაფიული დახასიათება (ფენების შემადგენლობა და ჩალაგების ფორმები, გავრცელების საზღვრები და სტრუქტურა), ობიექტებისა და არტეფაქტების გამოვლენა, გაზომვა, ფიქსაცია, კამერალური დამუშავება, სინჯების აღება; რომელიმე გეოდეზიური ხელსაწყოს ან გეოსაინფორმაციო სისტემის გამოყენება, საველე პირობებში პირველადი რესტავრაცია-კონსერვაცია, არქეოლოგიური დოკუმენტაციის შედგენა, მოპოვებული მასალების დახარისხება, შეფუთვა თუ სახელმწიფო საცავებში დაბინავება, ძეგლის არქივის შედგენა; დამოუკიდებლად ან ხელმძღვანელის დახმარებით საკვლევი პრობლემების იდენტიფიცირება, აღმოჩენილი არქეოლოგიურ ძეგლებისა და არტეფაქტების აღწერა (ნიშნების შერჩევა, სახეობები, მახასიათებლები, სიმარტივე და მოხერხებულობა), ცალკეული ელემენტებისა და დამახასიათებელი ნიშნების გამოკვეთა, კლასიფიკაცია, სხვა ანალოგებთან დაკავშირება, მიღებული ინფორმაციის სინთეზი და დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; სამუზეუმო და საარქივო ფონდებში, ბიბლიოთეკებსა და ელექტრონულ სამეცნიერო ბაზებში რელევანტური წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის მოძიება, მათი სისტემატიზაცია, განხილვა, ანალიზი

და შეფასება; აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით კვლევითი ნაშრომის შექმნა და მისი წარდგენა ზეპირი თუ წერილობითი ფორმით აკადემიური და პროფესიული საზოგადოების წინაშე; პროფესიული ეთიკის სტანდარტებსა და სამართლებრივ რეგულაციებზე დაფუძნება და მონაწილეობა დარგის შემდგომ განვითარებაში; საველე სამუშაოების სპეციფიკურ გარემოში ადაპტირება, ინიციატივის, თვითორგანიზებისა და პასუხისმგებლობის უნარის გამოვლენა.
პროგრამის შემუშავებაში ჩართული იყვნენ როგორც დამსაქმებლები, ისე მოქმედი სტუდენტები და კურსდამთავრებულები. არქეოლოგიისა და ანტიკური ცივილიზაციების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები საჯაროა და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს როგორც დარგობრივ ცოდნას, ისე უნარებს, პასუხისმგებლობასა თუ ავტონომიურობას, რომელსაც მიიღებს კურსდამთავრებული. ისინი ლოგიკურ ბმაშია პროგრამის მიზნებთან, რაც დასტურდება შესაბამისი რუკებით. გარდა ამისა, პროგრამის სწავლის შედეგები სრულად შეესაბამება როგორც ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნებს, ისე არქეოლოგიის დარგობრივ მახასიათებელში მოცემულ საბაკალავრო დონისადმი განკუთვნილ სწავლის შედეგებს და საშუალებას აძლევს კურსდამთავრებულს, სწავლა გააგრძელოს უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე – დოქტორანტურაში ან დასაქმდეს პროფესიის შესაბამისად.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კლასტერში წარმოდგენილი პროგრამები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების და სწავლის შედეგების კავშირის რუკები;
- შრომისა და განათლების ბაზრის კვლევები.

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

**კლასტერის საერთო რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

...............

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

| კომპონენტი 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (ისტორია, მაგისტრატურა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 (არქეოლოგია, ბაკალავრიატი) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 (არქეოლოგია და ანტიკური ცივილიზაციები, მაგისტრატურა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას აქვს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები, რომელიც რეგულირდება შესაბამისი შიდა რეგულაციებით.

საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასება ოთხ ეტაპს მოიცავს. პირველ ეტაპში, რომელზეც მოხდა პროგრამების სწავლის შედეგების ჩამოყალიბება, მონაწილეობას იღებდა ყველა დაინტერესებული პირი: აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები და ა.შ. მეორე ეტაპზე, კურიკულუმის ანალიზის დროს დადგინდა, რომ პროგრამებს გააჩნდა საკმარისი შესაძლებლობები, რათა სტუდენტებმა მიეღწიათ სწავლის შედეგებისთვის. შედგა კურიკულუმების რუკები და განისაზღვრა, თუ რომელი სასწავლო კურსი უზრუნველყოფდა კონკრეტული სწავლის შედეგის მიღწევა-განვითარებას. მესამე ეტაპზე, პროგრამების ხელმძღვანელებისა და აკადემიური პერსონალის მიერ შედგენილ იქნა სწავლის შედეგების შეფასების გეგმები, რომელშიც თითოეული სწავლის შედეგისთვის შედგენილ იქნა სამიზნე ნიშნულები. მეოთხე ეტაპზე ხდება შეფასების შედეგების გამოყენება პროგრამების გასაუმჯობესებლად.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ფაკულტეტის დონეზე ეყრდნობა მონაცემთა შეგროვებასა და მათ ანალიზს. ინსტიტუცია იყენებს როგორც პირდაპირ, ისე არაპირდაპირ შეფასების მექანიზმებს, რაც საკმაოდ ეფექტურია. უკუკავშირის მექანიზმებიც არის ადეკვატური და პროფესიონალურად შემუშავებული.
სწავლის შედეგების მიღწევის პირდაპირ მტკიცებულებას წარმოადგენს სტუდენტის აკადემიური მოსწრება, რომელიც ფასდება ჯგუფში აქტიურობით, დისკუსიებსა და დებატებში მონაწილეობით, პრეზენტაციებით, ესეებითა და რეფერატებით, კვლევითი ნაშრომების მომზადებით, შუალედური და დასკვნითი გამოცდებით. მტკიცებულებას ამ შემთხვევაში წარმოადგენს დასახელებული აქტივობებისათვის მიღებული ქულები. შეფასების კრიტერიუმები გაწერილია შესაბამისი კურსის სილაბუსებში და სტუდენტების მიღწევების შეფასება ხდება საქართველოში არსებული მარეგულირებელი აქტების შესაბამისად.
სწავლის შედეგების შეფასების არაპირდაპირი მეთოდი მოიცავს სტუდენტის მიერ მიღებული ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების შეფასებას სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვებით, დასაქმების მაჩვენებლით, სასწავლო კურსებში მიღებული ქულების საშუალო მაჩვენებლით, პროგრამის დასრულების მაჩვენებლით და ა.შ.
ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა, რომ ყველა შესაბამისი მხარე იყო ინფორმირებული და ჩართული შეფასების პროცედურებში. სტუდენტების წარმომადგენლებმაც აღნიშნეს, რომ ისინი სრულად იყვნენ ინფორმირებულები პროცესის შესახებ და იღებდნენ მასში აქტიურ მონაწილეობას.
იგრძნობოდა ყველა დაინტერესებული მხარის აქტიური ჩართულობა პროგრამის თვითშეფასების ჯგუფის მუშაობის პროცესში.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

აღწერა და ანალიზი – პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)

იხ. კლასტერის აღწერა.

**აღწერა და ანალიზი – პროგრამა 2 (ისტორია, მაგისტრატურა)**

იხ. კლასტერის აღწერა.

**აღწერა და ანალიზი – პროგრამა 3 (არქეოლოგია, ბაკალავრიატი)**

იხ. კლასტერის აღწერა.

**აღწერა და ანალიზი – პროგრამა 4 (არქეოლოგია და ანტიკური ცივილიზაციები, მაგისტრატურა)**

იხ. კლასტერის აღწერა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კლასტერში წარმოდგენილი პროგრამები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების და სწავლის შედეგების კავშირის რუკები;
- საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგებისა და სასწავლო კურსების შესაბამისობის რუკები;
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- სწავლის შედეგების შეფასების გეგმა.

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

**კლასტერის საერთო რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

**არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

**პროგრამა 1** (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**პროგრამა 2** (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**...............**

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

| კომპონენტი 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (ისტორია, მაგისტრატურა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 (არქეოლოგია, ბაკალავრიატი) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 (არქეოლოგია და ანტიკური ცივილიზაციები, მაგისტრატურა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

---

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები შემუშავებულია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედი „საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის – EP-QA“ შესაბამისად. პროგრამის ინიცირება შეუძლია ფაკულტეტის საბჭოს ან დეპარტამენტს, უნივერსიტეტის აკადემიურ და სამეცნიერო პერსონალს, უნივერსიტეტის სტუდენტებს და დოქტორანტებს, საქართველოსა და უცხოური უნივერსიტეტის ადმინისტრაციებს (ერთობლივი პროგრამის შემთხვევაში), ასევე სხვა

დაინტერესებულ მხარეებს (საჯარო, კომერციულ, არასამთავრობო და პროფესიულ ორგანიზაციებს). გადაწყვეტილებას ახალი პროგრამის შემუშავების შესახებ იღებს ფაკულტეტის საბჭო. მისი დადებითი დასკვნის შემთხვევაში იწყება პროგრამის შემუშავების ფაზა და იქმნება პროგრამის შემუშავებაზე პასუხისმგებელი ჯგუფი, რომელშიც შედიან პროგრამის იდეის ინიციატორი ან მისი წარმომადგენელი, ფაკულტეტის და/ან დეპარტამენტის აკადემიური, სამეცნიერო და ადმინისტრაციული პერსონალი, სხვა ფაკულტეტის ან/და დეპარტამენტის თანამშრომლები (ინტერდისციპლინარული პროგრამის შემთხვევაში), პარტნიორი უნივერსიტეტის წარმომადგენლები (ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში) სტუდენტები, დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები. ჯგუფს კონსულტაციას უწევს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. ხელმძღვანელს ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო ჯგუდის მიერ წარდგენილი კანდიდატურებიდან. ჯგუფი იმუშავებს პროგრამას და ამზადებს ყველა დოკუმენტაციას, რომელსაც წარადგენს შესაბამის დეპარტამენტში. ამ უკანასკნელის დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, დოკუმენტაცია წარედგინება ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. ეს უკანასკნელი სწავლობს დოკუმენტაციას და, დადებითი დასკვნის შემთხვევაში, წარუდგენს მას ფაკულტეტის საბჭოს განსახილველად. ეს უკანასკნელი აფასებს პროგრამის საკვანძო პარამეტრებს და იღებს გადაწყვეტილებას მისი უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოზე წარდგენის შესახებ. დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური წარუდგენს პროგრამას უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რომელიც ახდენს მის ორმაგ ექსპერტიზას. ამის შემდგომ პროგრამა წარედგინება უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს, რომელიც, განხილვის შემდეგ, იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას. დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, უნივერსიტეტის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს ეძლევა დავალება, უზრუნველყონ მატერიალური, ფინანსური და ადამიანური რესურსების გამოყოფა, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს კი ევალება პროგრამის აკრედიტაციის რეჟიმის დაწყება და ამისთვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადება.

ისტორია-არქეოლოგიის კლასტერში წარდგენილი პროგრამების სააკრედიტაციოდ წარდგენა მოხდა საუნივერსიტეტო რეგულაციების სრული დაცვით. ყველა პროგრამის სტრუქტურა თანამიმდევრული და ლოგიკურია. მთლიანობაში, მათი შინაარსი და სტრუქტურა სრულად უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაციები შესაბამისობაშია როგორც პროგრამის შინაარსსა და შედეგებთან, ისე ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან.

**აღწერა და ანალიზი – პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)**

ისტორიის საბაკალავრო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს, რომელიც იყოფა შემდეგი სახით:

1. 180 ECTS კრედიტი ეთმობა ძირითად პროგრამას:
   ა) 120 ECTS კრედიტი – სავალდებულო საგნები;
   ბ) 20 ECTS კრედიტი – თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო საგნები;
   გ) 40 ECTS კრედიტი – არჩევითი საგნები.
2. 60 ECTS კრედიტი ეთმობა დამატებით პროგრამას (სტუდენტის მიერ ასეთის არჩევის

შემთხვევაში) ან თავისუფალ კომპონენტს.
პროგრამის სტრუქტურა თანამიმდევრული და ლოგიკურია. პროგრამაში შემავალ სასწავლო კურსებს წინაპირობები არ გააჩნია, მაგრამ სამაგიეროდ პროგრამის სასწავლო გეგმაში მითითებულია მათი გავლის რეკომენდებული სემესტრი, რაც სავსებით საკმარისია პროგრამის სწორი თანმიმდევრობით გასავლელად. ამავე დროს, სასურველი იქნება, თუ პროგრამაში ჩამატებული იქნება რამდენიმე არჩევითი საგანი აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიაზე (მაგალითად, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების შუა საუკუნეებისა და ახალი ისტორია, თურქეთის ისტორია, ირანის ისტორია, არაბული ქვეყნების ისტორია და ა.შ.), რომლებიც ხელს შეუწყობდა ამ რეგიონის ისტორიით დაინტერესებულ სტუდენტს თავისი ცოდნის გაღრმავებაში. გარდა ამისა, სასურველია, რომ პროგრამაში, არჩევითი საგნის სახით, დაემატოს საბაკალავრო ნაშრომი, რათა სტუდენტებმა საბაკალავრო დონეზე დამოუკიდებლად ნაშრომის შესრულების გამოცდილება შეიძინონ.
მთლიანობაში, ისტორიის საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი სრულად უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია – ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი ისტორიაში – შესაბამისობაშია როგორც პროგრამის შინაარსსა და შედეგებთან, ისე ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან.
რაც შეეხება ისტორიის დამატებით პროგრამას, მისი სასწავლო გეგმა სერიოზულ გადამუშავებას საჭიროებს, რადგანაც მასში სავალდებულო სახით მითითებულია ისეთი საგნები, რომლებიც ძირითად პროგრამაში არჩევითის სახითაც კი არ გვხვდება და წარმოადგენს ან ძირითად პროგრამაში არსებული ორი საგნის გაერთიანებას (მაგალითად, „ძველი აღმოსავლეთისა და ანტიკური ქვეყნების ისტორია", 10-კრედიტიანი „ევროპის ქვეყნების და აშშ-ის უახლესი ისტორია მე-20 საუკუნეში"), ან სხვანაირ განაწილებას (მაგალითად, „საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან XI საუკუნემდე", „საქართველოს ისტორია XI-XV საუკუნეებში". ძირითად პროგრამაში აქ სამი კურსი არის წარმოდგენილი და დაყოფა IX და XIII საუკუნეებზე ხდება). თანაც, დამატებითი პროგრამა მხოლოდ სავალდებულო საგნებით არის წარმოდგენილი. სასურველია, დამატებით პროგრამაში 1-2 საგანი მაინც იყოს არჩევითი.

აღწერა და ანალიზი – პროგრამა 2 (ისტორია, მაგისტრატურა)

ისტორიის სამაგისტრო პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს, რომელიც იყოფა შემდეგი სახით:
1. 30 ECTS კრედიტი პროგრამის სავალდებულო საგნები ორივე კონცენტრაციისთვის:
   ა) 25 ECTS კრედიტი – სავალდებულო საგნები;
   ბ) 5 ECTS კრედიტი – საკურსო ნაშრომი.
2. 45 ECTS კრედიტი – კონცენტრაციის სავალდებულო საგნები;
3. 15 ECTS კრედიტი – არჩევითი საგნები ორივე კონცენტრაციისთვის;
4. 30 ECTS კრედიტი – სამაგისტრო ნაშრომი.
პროგრამის სტრუქტურა თანამიმდევრული და ლოგიკურია. ვიზიტისას კითხვის ნიშნები გაჩნდა მხოლოდ სავალდებულო საკურსო ნაშრომთან დაკავშირებით, თუმცა, როგორც ინტერვიუებიდან გაირკვა, ის წარმოადგენს ერთგვარ მოსამზადებელ ეტაპს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისთვის, რაც, პირველ რიგში, ეხმარება იმ სტუდენტებს, ვისაც საბაკალავრო

დონეზე არ აქვთ შესრულებული საბაკალავრო ნაშრომი.
პროგრამაში შემავალ სასწავლო კურსებს წინაპირობები არ გააჩნია, მაგრამ სამაგიეროდ პროგრამის სასწავლო გეგმაში მითითებულია მათი გავლის რეკომენდებული სემესტრი, რაც სავსებით საკმარისია პროგრამის სწორი თანმიმდევრობით გასავლელად.
მთლიანობაში, ისტორიის სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი სრულად უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია – ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი ისტორიაში – შესაბამისობაშია როგორც პროგრამის შინაარსსა და შედეგებთან, ისე ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან.

**აღწერა და ანალიზი – პროგრამა 3 (არქეოლოგია, ბაკალავრიატი)**

არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს, რომელიც იყოფა შემდეგი სახით:
1. 180 ECTS კრედიტი ეთმობა ძირითად პროგრამას:
   ა) 120 ECTS კრედიტი – სავალდებულო საგნები;
   ბ) 20 ECTS კრედიტი – თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო საგნები;
   გ) 40 ECTS კრედიტი – არჩევითი საგნები.
2. 60 ECTS კრედიტი ეთმობა დამატებით პროგრამას (სტუდენტის მიერ ასეთის არჩევის შემთხვევაში) ან თავისუფალ კომპონენტს.
პროგრამის სტრუქტურა თანამიმდევრული და ლოგიკურია. პროგრამაში შემავალ სასწავლო კურსებს წინაპირობები არ გააჩნია, მაგრამ სამაგიეროდ პროგრამის სასწავლო გეგმაში მითითებულია მათი გავლის რეკომენდებული სემესტრი, რაც სავსებით საკმარისია პროგრამის სწორი თანმიმდევრობით გასავლელად. ამავე დროს, სასურველია, რომ პროგრამაში, არჩევითი საგნის სახით, დაემატოს საბაკალავრო ნაშრომი, რათა სტუდენტებმა საბაკალავრო დონეზე დამოუკიდებლად ნაშრომის შესრულების გამოცდილება შეიძინონ.
მთლიანობაში, არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი სრულად უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია – ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი არქეოლოგიაში – შესაბამისობაშია როგორც პროგრამის შინაარსსა და შედეგებთან, ისე ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან.

**აღწერა და ანალიზი – პროგრამა 4 (არქეოლოგია და ანტიკური ცივილიზაციები, მაგისტრატურა)**

არქეოლოგიისა და ანტიკური ცივილიზაციების სამაგისტრო პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს, რომელიც იყოფა შემდეგი სახით:
1. 60 ECTS კრედიტი პროგრამის სავალდებულო საგნები ორივე კონცენტრაციისთვის:
   ა) 55 ECTS კრედიტი – სავალდებულო საგნები;
   ბ) 5 ECTS კრედიტი – საკურსო ნაშრომი.
2. 30 ECTS კრედიტი – არჩევითი საგნები;
3. 30 ECTS კრედიტი – სამაგისტრო ნაშრომი.
პროგრამის სტრუქტურა თანამიმდევრული და ლოგიკურია. ვიზიტისას კითხვის ნიშნები გაჩნდა

მხოლოდ სავალდებულო საკურსო ნაშრომთან დაკავშირებით, თუმცა, როგორც ინტერვიუებიდან გაირკვა, ის წარმოადგენს ერთგვარ მოსამზადებელ ეტაპს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისთვის, რაც, პირველ რიგში, ეხმარება იმ სტუდენტებს, ვისაც საბაკალავრო დონეზე არ აქვთ შესრულებული საბაკალავრო ნაშრომი.
პროგრამაში შემავალ სასწავლო კურსებს წინაპირობები არ გააჩნია, მაგრამ სამაგიეროდ პროგრამის სასწავლო გეგმაში მითითებულია მათი გავლის რეკომენდებული სემესტრი, რაც სავსებით საკმარისია პროგრამის სწორი თანმიმდევრობით გასავლელად.
მთლიანობაში, არქეოლოგიისა და ანტიკური ცივილიზაციების სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი სრულად უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია – ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი არქეოლოგიაში – შესაბამისობაშია როგორც პროგრამის შინაარსსა და შედეგებთან, ისე ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კლასტერში წარმოდგენილი პროგრამები და მათი სასწავლო გეგმები;
- სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის – EP-QA;
- სწავლის შედეგების შეფასების გეგმა – საბაკალავრო პროგრამა ისტორია;
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი – საბაკალავრო პროგრამა ისტორია;
- სწავლის შედეგების შეფასების გეგმა – სამაგისტრო პროგრამა ისტორია;
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი – სამაგისტრო პროგრამა ისტორია;
- სწავლის შედეგების შეფასების გეგმა – საბაკალავრო პროგრამა არქეოლოგია;
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი – საბაკალავრო პროგრამა არქეოლოგია;
- სწავლის შედეგების შეფასების გეგმა – სამაგისტრო პროგრამა არქეოლოგია და ანტიკური ცივილიზაციები;
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი – სამაგისტრო პროგრამა არქეოლოგია და ანტიკური ცივილიზაციები;
- ჩატარებული ინტერვიუების შედეგები.

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

**კლასტერის საერთო რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

**პროგრამა 1** (ისტორია, ბაკალავრიატი)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**1.4.1.** ისტორიის დამატებითი პროგრამის სასწავლო გეგმა უნდა გადამუშავდეს და დაკომპლექტდეს ძირითად პროგრამაში არსებული სავალდებულო საგნების ბაზაზე. ამასთანავე, სასურველია, რომ მასში შეტანილ იქნას არჩევითობის კომპონენტიც.

**რჩევ(ებ)ი:**

**1.4.2.** სასურველი იქნება, თუ ისტორიის საბაკალავრო პროგრამაში ჩამატებული იქნება რამდენიმე არჩევითი საგანი აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიაზე (მაგალითად, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების შუა საუკუნეებისა და ახალი ისტორია, თურქეთის ისტორია, ირანის ისტორია, არაბული ქვეყნების ისტორია და ა.შ.), რომლებიც ხელს შეუწყობდა ამ რეგიონის ისტორიით დაინტერესებულ სტუდენტს თავისი ცოდნის გაღრმავებაში.
**1.4.3.** სასურველია, რომ ისტორიის საბაკალავრო პროგრამაში, არჩევითი საგნის სახით, დაემატოს საბაკალავრო ნაშრომი, რათა სტუდენტებმა საბაკალავრო დონეზე დამოუკიდებლად ნაშრომის შესრულების გამოცდილება შეიძინონ.

**პროგრამა 3** (არქეოლოგია, ბაკალავრიატი)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**1.4.4.** სასურველია, რომ არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში, არჩევითი საგნის სახით, დაემატოს საბაკალავრო ნაშრომი, რათა სტუდენტებმა საბაკალავრო დონეზე დამოუკიდებლად ნაშრომის შესრულების გამოცდილება შეიძინონ.

**...............**

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

| კომპონენტი 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი) | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (ისტორია, მაგისტრატურა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 (არქეოლოგია, ბაკალავრიატი) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 (არქეოლოგია და ანტიკური ცივილიზაციები, მაგისტრატურა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

### 1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

ისტორია-არქეოლოგიის კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ყველა სასწავლო კურსი აღწერილია შესაბამის სილაბუსში. სასწავლო კურსების სილაბუსები მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: სასწავლო კურსის დასახელება, სილაბუსის ავტორი/ავტორები, ფაკულტეტი და დეპარტამენტი, საგანმანათლებლო პროგრამა, სემესტრი, სასწავლო კურსის სტატუსი, სწავლების ენა, კრედიტების რაოდენობა შესაბამისი საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების მითითებით, სასწავლო კურსის მიზანი, სასწავლო კურსზე დაშვების წინაირობები, სასწავლო კურსის ფორმატი, სწავლის შედეგები, სწავლებისა და სწავლის მეთოდები, სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა და კრიტერიუმები, სავალდებულო ლიტერატურა, დამატებითი ლიტერატურა და სასწავლო კურსის დეტალური შინაარსი.
პროგრამებში მოცემული ყველა სასწავლო კურსი 5-კრედიტიანია და ეს განსაზღვრულია სწავლის შედეგებისა და შინაარსის მიხედვით. სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დეტალური სფეროს კომპეტენციების აღმწერისა და შესაბამისი დარგობრივი მახასიათებლების (ისტორიის და არქეოლოგიის) მიხედვით. სასწავლო კურსის შინაარსი ძირითადად შეესაბამება სწავლის შედეგებს. საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობისთვის განკუთვნილი საათების თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას, შინაარსსა და სწავლის შედეგებს. სასწავლო კურსის შეფასების ფორმების, მეთოდების და კრიტერიუმების მეშვეობით ფასდება თითოეული სწავლის შედეგი. პროგრამებს თან ახლავს კურიკულუმის რუკა, რომელშიც მოცემულია სასწავლო კურსების კავშირი პროგრამის სწავლის შედეგებთან. შესაბამისად, პროგრამის სწავლის შედეგებზე გასვლა ცალკეული სასწავლო კურსების სწავლის შედეგების მიღწევის ერთობლიობით ხდება.
სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა

ძირითადად შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს და სფეროს აქტუალურ მიღწევებს. ის, უმეტესწილად ითვალისწინებს უახლეს კვლევებს მოცემულ სფეროში და უზრუნველყოფს პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობას.

აღწერა და ანალიზი – პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)

ისტორიის საბაკალავრო პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამის სავალდებულო ნაწილში შედის 24 სასწავლო კურსი. თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო ნაწილში შედის კიდევ 4 სასწავლო კურსი. გარდა ამისა, კიდევ 25 სასწავლო კურსი მოცემული არის არჩევით ნაწილში. თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო კურსები წარმოდგენილია სამი უცხო ენით (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) და აკადემიური წერით. არჩევით ნაწილში, უშუალოდ სპეციალობის საგნების გარდა, მოცემულია ზოგადი განათლებისთვის აუცილებელი კურსები (შესავალი ფილოფიაში, კლასიკური ენები და ა.შ.). პროგრამაში შემავალი სავალდებულო სასწავლო კურსების შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლების შედეგებს. სასწავლო კურსების შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს საკუთრივ კურსების შედეგების მიღწევას. სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა ძირითადად შეესაბამება დარგის თანამედროვე მიღწევებს, უმეტესწილად ითვალისწინებს უახლეს კვლევებს მოცემულ სფეროში და უზრუნველყოფს კურსის შედეგების მიღწევას. მიუხედავად ამისა, გვხვდება ცალკეული შემთხვევები, როდესაც სავალდებულო ლიტერატურაში მითითებულია ან მოძველებული ლიტერატურა („დასავლეთ ევროპის ისტორია XIV ს. I ნახევრიდან XVII საუკუნეების I ნახევრამდე“; „დასავლეთ ევროპის ქვეყნებისა და აშშ-ს ისტორია 1640-1815 წლებში“), ანაც უცხოენოვანი (რუსულენოვანი) წიგნები („ევროპის ქვეყნებისა და აშშ-ის უახლესი ისტორია (1939-1990 წწ.)“). სასურველია, პირველ შემთხვევაში მოხდეს ლიტერატურის განახლება და ჩანაცვლება უფრო ახალი ლიტერატურით, მეორე შემთხვევაში კი – რუსულენოვანი წიგნის გადატანა დამატებითი ლიტერატურის ჩამონათვალში, მით უმეტეს, რომ კურსის ლექტორს ყველა თემაზე გააჩნია საკუთარი ვრცელი ქართულენოვანი სალექციო მასალა, რომელიც განთავსებულია აწსუ-ს ელექტრონული სწავლების პორტალზე.

აღწერა და ანალიზი – პროგრამა 2 (ისტორია, მაგისტრატურა)

ისტორიის სამაგისტრო პროგრამის ორივე კონცენტრაციისთვის სავალდებულო ნაწილში შედის 5 სასწავლო კურსი. კონცენტრაციების სავალდებულო ნაწილში შედის 18 (9-9 თითოეული კონცენტრაციისთვის) სასწავლო კურსი. კიდევ 11 კურსი არის არჩევითი ორივე კონცენტრაციისთვის. კვლევითი კომპონენტის სახით წარმოდგენილია სავალდებულო საკურსო ნაშრომი (5 კრედიტი) და სამაგისტრო ნაშრომი (30 კრედიტი). პროგრამაში შემავალი სავალდებულო სასწავლო კურსების შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლების შედეგებს. სასწავლო კურსების შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს საკუთრივ კურსების შედეგების მიღწევას. სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა ძირითადად შეესაბამება დარგის თანამედროვე მიღწევებს და უზრუნველყოფს კურსის შედეგების მიღწევას. მიუხედავად ამისა, გვხვდება ცალკეული შემთხვევები, როდესაც სავალდებულო ლიტერატურაში

მითითებულია ან მოძველებული, ან სამაგისტრო დონისადმი შეუსაბამო ლიტერატურა („აშშ-ის ისტორია 1900-1941 წლებში“, „აშშ-ის ისტორია 1941 – 2000 წლებში“, „დიდი ბრიტანეთი 1900-1939 წლებში“, „დიდი ბრიტანეთი 1940-2010 წლებში“). სასურველია, ყველა ამ შემთხვევაში მოხდეს ლიტერატურის განახლება და ჩანაცვლება უფრო ახალი ლიტერატურით.

აღწერა და ანალიზი – პროგრამა 3 (არქეოლოგია, ბაკალავრიატი)

საბაკალავრო პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამის სავალდებულო ნაწილში შედის 24 სასწავლო კურსი. თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო ნაწილში შედის კიდევ 4 სასწავლო კურსი. გარდა ამისა, კიდევ 25 სასწავლო კურსი მოცემული არის არჩევით ნაწილში. თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო კურსები წარმოდგენილია სამი უცხო ენით (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) და აკადემიური წერით. არჩევით ნაწილში, უშუალოდ სპეციალობის საგნების გარდა, მოცემულია ზოგადი განათლებისთვის აუცილებელი ან მომიჯნავე სპეციალობის კურსები, რომელთა გავლაც არქეოლოგიის ბაკალავრისთვის ნამდვილად სასურველია (კლასიკური ენები, ქართული პალეოგრაფია და ა.შ.). პროგრამაში შემავალი სავალდებულო სასწავლო კომპონენტების შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლების შედეგებს. სასწავლო კურსების შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს საკუთრივ კურსების შედეგების მიღწევას.
ძირითადი (მაპროფილებელი) სპეციალობის 120 კრედიტი ეთმობა როგორც თეორიულ (შესავალი არქეოლოგიაში, არქეოლოგიის საფუძვლები, პირველყოფილი საზოგადოების არქეოლოგია, ქვის ხანის საქართველოს არქეოლოგია, ბრინჯაოს ხანის საქართველოს არქეოლოგია, ეთნოარქეოლოგია, უძველესი არქეოლოგიური კულტურები და ცივილიზაციები, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება შუა საუკუნეების საქართველოში, მატერიალური კულტურის ძეგლები განვითარებული და გვიანი შუა საუკუნეების საქართველოში, ანტიკური არქეოლოგია, ანტიკური ეპოქის საქართველოს არქეოლოგია, შუა საუკუნეების ეპოქის საქართველოს არქეოლოგია, ქართული ნუმიზმატიკა, უძველესი არქეოლოგიური კულტურები და ცივილიზაციები და სხვ.), ისე პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამომაყალიბებელ (არქეოლოგიური კვლევის მეთოდიკა, არქეოლოგიური ძეგლების და არტეფაქტების გრაფიკული ფიქსაცია, საველე არქეოლოგიური პრაქტიკა, სამუზეუმო საქმის საფუძვლები, სამუზეუმო საქმე და პრაქტიკა) დისციპლინებს.
უნდა აღინიშნოს ის ცვლილებები, რომელიც პროგრამამ წინამდებარე აკრედიტაციისათვის განიცადა. ქრონოლოგიური თვალსაზრისით დაკონკრეტდა ზოგიერთი სასწავლო კურსის დასახელება. დაემატა ახალი სასწავლო კურსები: „არქეოლოგიის დამხმარე დისციპლინები“, ახალი სამყაროს არქეოლოგია“, „არქეოლოგიური ძეგლებისა და არტეფაქტების გრაფიკული ფიქსაცია“, „კულტურული მემკვიდრეობა და მისი დაცვის ძირითადი პრინციპები“, „შუა საუკუნეების მსოფლიო კულტურა“, „კომპიუტერული ტექნოლოგიები არქეოლოგიაში“, „ჩრდილოეთ ამერიკის ინდიელთა ეთნოგენეზი და კულტურა“; ინგლისურენოვანი არჩევითი სასწავლო კურსი „კულტურული პლურალიზმი და თანამედროვე მსოფლიო“.
სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა ძირითადად შეესაბამება დარგის თანამედროვე მიღწევებს, უმეტესწილად ითვალისწინებს უახლეს კვლევებს მოცემულ სფეროში და

უზრუნველყოფს კურსის შედეგების მიღწევას. მიუხედავად ამისა, გვხვდება ცალკეული შემთხვევები, როდესაც სასწავლო კურსების სილაბუსებში მაინც აღინიშნება სასწავლო რესურსების დეფიციტი. ზოგიერთ მათგანში გვხვდება რუსულენოვანი ლიტერატურა, რომელიც, როგორც წესი, სტუდენტებისთვის გაუგებარია. უმჯობესი იქნება, თუ ლექტორ-მასწავლებლები მათ თავიანთ რიდერებში მოათავსებენ და ასე მიაწვდიან სტუდენტებს. ვფიქრობთ, რომ ასევე უმჯობესი იქნება ანტიკური არქეოლოგიის კურსში საკითხების უფრო განზოგადება და ელინისტური და რომაული ხანის არქეოლოგიის საკითხების დამატება.

**აღწერა და ანალიზი – პროგრამა 4 (არქეოლოგია და ანტიკური ცივილიზაციები, მაგისტრატურა)**

არქეოლოგიისა და ანტიკური ცივილიზაციების სამაგისტრო პროგრამის სავალდებულო ნაწილში შედის 11 სასწავლო კურსი. კიდევ 20 კურსი არის არჩევითი. კვლევითი კომპონენტის სახით წარმოდგენილია სავალდებულო საკურსო ნაშრომი (5 კრედიტი) და სამაგისტრო ნაშრომი (30 კრედიტი). პროგრამაში შემავალი სავალდებულო სასწავლო კომპონენტების შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლების შედეგებს. სასწავლო კურსების შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს საკუთრივ კურსების შედეგების მიღწევას.
პროგრამაში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები: დაკონკრეტდა ზოგიერთი სასწავლო კურსის დასახელება. დაემატა ახალი სასწავლო კურსები: „ანტიკური ეპოქის საქართველოს არქეოლოგიის საკითხები", „ანტიკური საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები ბერძნულ, რომაულ და აღმოსავლურ სამყაროსთან", „მხატვრული ხელოსნობის ძეგლები ანტიკური ეპოქის საქართველოში", „ევროპა ადრერკინის ხანასა და რომაულ ეპოქაში", „აღმოსავლეთი ანტიკურ ეპოქაში", „კულტურული მემკვიდრეობის ინვენტარიზაცია-დოკუმენტაცია, შეფასება და დაცვა". ვფიქრობთ, ეს ბოლო დისციპლინა აუცილებელია მაგისტრატურის დონის სტუდენტებისთვის, რათა კვლევით კომპონენტთან ერთად მათ შეძლონ მენეჯერული უნარ-ჩვევების გაუმჯობესება.
სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა ძირითადად შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს და სფეროს აქტუალურ მიღწევებს. ის, ძირითადად ითვალისწინებს უახლეს კვლევებს მოცემულ სფეროში და უზრუნველყოფს პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კლასტერში წარმოდგენილი პროგრამები;
- სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ჩატარებული ინტერვიუების შედეგები.

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო

პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

**კლასტერის საერთო რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

**პროგრამა 1** (ისტორია, ბაკალავრიატი)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**1.5.1.** სასურველია, განახლდეს სავალდებულო ლიტერატურა შემდეგ სილაბუსებში: „დასავლეთ ევროპის ისტორია XIV ს. I ნახევრიდან XVII საუკუნეების I ნახევრამდე“; „დასავლეთ ევროპის ქვეყნებისა და აშშ-ს ისტორია 1640-1815 წლებში“, „ევროპის ქვეყნებისა და აშშ-ის უახლესი ისტორია (1939-1990 წწ.)“.
**1.5.2.** სასურველია, გაფართოვდეს შინაარსის თემატიკა არაბული ქვეყნების კუთხით საგანში „ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების უახლესი ისტორია“, სადაც შინაარსში 10 კვირა ეთმობა თურქეთის ისტორიასთან დაკავშირებულ საკითხებს, 4 კვირა – ირანს და 2 კვირა – ისრაელს.

**პროგრამა 2** (ისტორია, მაგისტრატურა)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**1.5.3.** სასურველია, განახლდეს სავალდებულო ლიტერატურა შემდეგ სილაბუსებში: „აშშ-ის ისტორია 1900-1941 წლებში“, „აშშ-ის ისტორია 1941 – 2000 წლებში“, „დიდი ბრიტანეთი 1900-1939 წლებში“, „დიდი ბრიტანეთი 1940-2010 წლებში“.

**პროგრამა 3** (არქეოლოგია, ბაკალავრიატი)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

რჩევ(ებ)ი:

**1.5.4.** უმჯობესი იქნება, თუ ლექტორ-მასწავლებლები რუსულ ლიტერატურაში დაცულ კონტენტს თავიანთ რიდერებში მოათავსებენ და ასე მიაწვდიან სტუდენტებს;
**1.5.5.** სასურველია, ანტიკური არქეოლოგიის სილაბუსის შინაარსში დაემატოს ელინისტური ხანისა და რომაული პერიოდის თემები.

**პროგრამა 4** (არქეოლოგია და ანტიკური ცივილიზაციები, მაგისტრატურა)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

……………

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

| კომპონენტი 1.5 სასწავლო კურსი/საგანი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (ისტორია, მაგისტრატურა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 (არქეოლოგია, ბაკალავრიატი) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 (არქეოლოგია და ანტიკური ცივილიზაციები, მაგისტრატურა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 2 (ისტორია, მაგისტრატურა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 (არქეოლოგია, ბაკალავრიატი) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 (არქეოლოგია და ანტიკური ცივილიზაციები, მაგისტრატურა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

### 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

ისტორია-არქეოლოგიის კლასტერში წარმოდგენილი პროგრამების დაშვების წინაპირობები გამჭვირვალე და სამართლიანია. ისინი შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას და ითვალისწინებს პროგრამების სპეციფიკასა თუ სწავლების საფეხურს. აქედან გამომდინარე, პროგრამებზე დაშვების წინაპირობები უზრუნველყოფს მათზე ისეთი პირების მიღებას, რომლებსაც გააჩნიათ შესაბამისი ცოდნა და უნარები სწავლის შედეგების მისაღწევად. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები საჯაროა და განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. ინფორმაცია ასევე მოცემულია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგში და ქვეყნდება აბიტურიენტებისათვის განკუთვნილ საქართველოს ერთიანი ეროვნული საგამოცდო ცენტრის ყოველწლიურ საინფორმაციო ცნობარში. გარდა ამისა, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი ატარებს შეხვედრებს აბიტურიენტებთან და აწვდის მათ შესაბამის ინფორმაციას ღია კარის დღეებზე.

**აღწერა და ანალიზი – პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)**

ისტორიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს:

- სრული ზოგადი, ან მისი ექვივალენტური განათლების მქონე და შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტის მფლობელი პირი, რომელსაც ჩაბარებული აქვს

ერთიანი ეროვნული გამოცდები და ფლობს შესაბამის სერტიფიკატს;

- ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში, პროგრამაზე ჩაბარება შეუძლიათ: ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს, რომლებმაც სხვა ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ექვივალენტური განათლება; ბ) საქართველოს მოქალაქეებს, რომლებმაც სხვა ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს საზღვარგარეთ; გ) პირებს, რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;
- გარე ან შიდა მობილობით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები გამჭვირვალე და სამართლიანია. ისინი შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას და ითვალისწინებს პროგრამების სპეციფიკასა თუ სწავლების საფეხურს. აქედან გამომდინარე, პროგრამებზე დაშვების წინაპირობები უზრუნველყოფს მათზე ისეთი პირების მიღებას, რომლებსაც გააჩნიათ შესაბამისი ცოდნა და უნარები სწავლის შედეგების მისაღწევად. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები საჯაროა და განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. ინფორმაცია ასევე მოცემულია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგში და ქვეყნდება აბიტურიენტებისათვის განკუთვნილ საქართველოს ერთიანი ეროვნული საგამოცდო ცენტრის ყოველწლიურ საინფორმაციო ცნობარში. გარდა ამისა, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი ატარებს შეხვედრებს აბიტურიენტებთან და აწვდის მათ შესაბამის ინფორმაციას ღია კარის დღეებზე.

**აღწერა და ანალიზი – პროგრამა 2 (ისტორია, მაგისტრატურა)**

ისტორიის სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებია:

- ბაკალავრის აკადემიური ხარისხი;
- ერთიანი ეროვნული სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება (პროგრამაზე ჩარიხვა ერთიანი სამაგისტრო გამოცდის გარეშე შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით);
- შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის ჩაბარება სპეციალობასა და უცხო ენაში (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული. გამოცდისგან თავისუფლდება ის პირი, რომელიც წარმოადგენს შესაბამისი უცხო ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელ საერთაშორისოდ აღიარებულ სერტიფიკატს ან რომელსაც შესაბამის ენაზე აქვს გავლილი ბაკალავრიატის ან მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა);
- გარე ან შიდა მობილობით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები გამჭვირვალე და სამართლიანია. ისინი შეესაბამება

საქართველოს კანონმდებლობას და ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკასა თუ სწავლების საფეხურს. აქედან გამომდინარე, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები უზრუნველყოფს მათზე ისეთი პირების მიღებას, რომლებსაც გააჩნიათ შესაბამისი ცოდნა და უნარები სწავლის შედეგების მისაღწევად. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები საჯაროა და განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. ინფორმაცია ასევე მოცემულია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგში და ქვეყნდება აბიტურიენტებისათვის განკუთვნილ საქართველოს ერთიანი ეროვნული საგამოცდო ცენტრის ყოველწლიურ საინფორმაციო ცნობარში. გარდა ამისა, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი ატარებს შეხვედრებს აბიტურიენტებთან და აწვდის მათ შესაბამის ინფორმაციას ღია კარის დღეებზე. სპეციალობის გამოცდის საკითხები და ჩატარების წესი ქვეყნდება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდზე გამოცდების დაწყებამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე.

აღწერა და ანალიზი – პროგრამა 3 (არქეოლოგია, ბაკალავრიატი)

არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს:

- სრული ზოგადი, ან მისი ექვივალენტური განათლების მქონე და შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტის მფლობელი პირი, რომელსაც ჩაბარებული აქვს ერთიანი ეროვნული გამოცდები და ფლობს შესაბამის სერტიფიკატს;
- ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში, პროგრამაზე ჩაბარება შეუძლიათ: ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს, რომლებმაც სხვა ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ექვივალენტური განათლება; ბ) საქართველოს მოქალაქეებს, რომლებმაც სხვა ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს საზღვარგარეთ; გ) პირებს, რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;
- გარე ან შიდა მობილობით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები გამჭვირვალე და სამართლიანია. ისინი შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას და ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკასა თუ სწავლების საფეხურს. აქედან გამომდინარე, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები უზრუნველყოფს მასზე ისეთი პირების მიღებას, რომლებსაც გააჩნიათ შესაბამისი ცოდნა და უნარები სწავლის შედეგების მისაღწევად. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები საჯაროა და განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. ინფორმაცია ასევე მოცემულია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგში და ქვეყნდება აბიტურიენტებისათვის განკუთვნილ საქართველოს ერთიანი ეროვნული საგამოცდო ცენტრის ყოველწლიურ საინფორმაციო ცნობარში. გარდა ამისა, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი ატარებს შეხვედრებს აბიტურიენტებთან და აწვდის მათ შესაბამის ინფორმაციას ღია კარის დღეებზე.

**აღწერა და ანალიზი – პროგრამა 4 (არქეოლოგია და ანტიკური ცივილიზაციები, მაგისტრატურა)**

არქეოლოგიისა და ანტიკური ცივილიზაციების სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებია:

- ბაკალავრის აკადემიური ხარისხი;
- ერთიანი ეროვნული სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება (პროგრამაზე ჩარიცხვა ერთიანი სამაგისტრო გამოცდის გარეშე შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით);
- შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის ჩაბარება სპეციალობასა და უცხო ენაში (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული. გამოცდისგან თავისუფლდება ის პირი, რომელიც წარმოადგენს შესაბამისი უცხო ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელ საერთაშორისოდ აღიარებულ სერტიფიკატს ან რომელსაც შესაბამის ენაზე აქვს გავლილი ბაკალავრიატის ან მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა);
- გარე ან შიდა მობილობით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები გამჭვირვალე და სამართლიანია. ისინი შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას და ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკასა თუ სწავლების საფეხურს. აქედან გამომდინარე, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები უზრუნველყოფს მათზე ისეთი პირების მიღებას, რომლებსაც გააჩნიათ შესაბამისი ცოდნა და უნარები სწავლის შედეგების მისაღწევად. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები საჯაროა და განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. ინფორმაცია ასევე მოცემულია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგში და ქვეყნდება აბიტურიენტებისათვის განკუთვნილ საქართველოს ერთიანი ეროვნული საგამოცდო ცენტრის ყოველწლიურ საინფორმაციო ცნობარში. გარდა ამისა, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი ატარებს შეხვედრებს აბიტურიენტებთან და აწვდის მათ შესაბამის ინფორმაციას ღია კარის დღეებზე. სპეციალობის გამოცდის საკითხები და ჩატარების წესი ქვეყნდება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდზე გამოცდების დაწყებამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კლასტერში წარმოდგენილი პროგრამები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდი: https://atsu.edu.ge/ge/faculty/1-humanitarul-metsnierebata-pakulteti.

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო

პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

**კლასტერის საერთო რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

**პროგრამა 1** (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

**პროგრამა 2** (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

……………

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

| კომპონენტი<br>2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (ისტორია, მაგისტრატურა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 (არქეოლოგია, ბაკალავრიატი) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 (არქეოლოგია და ანტიკური ცივილიზაციები, მაგისტრატურა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5 (სახელწოდება, საფეხური) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 6 (სახელწოდება, საფეხური) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 7 (სახელწოდება, საფეხური) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 8 (სახელწოდება, საფეხური) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |

## 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

კლასტერული შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

უშუალოდ დარგობრივი ცოდნის გარდა, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი სტუდენტებს აძლევს სხვადასხვა ტრანსფერული უნარების განვითარების საშუალებას. საბაკალავრო პროგრამებში სავალდებულოა აკადემიური წერისა და უცხო ენების კურსები. გარდა ამისა, არჩევითი საგნების სახით არსებობს კლასიკური ენების კურსები. გარდა ამისა, გათვალისწინებულია პრაქტიკული კურსებიც (ისტორიის საბაკალავრო პროგრამაში ეს არის „საარქივო საქმე და პრაქტიკა“, არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში კი – „სამუზეუმო საქმე და პრაქტიკა“. გარდა ამისა, ისტორიის საბაკალავრო პროგრამაში სავალდებულო სტატუსი აქვს საგანს „კომპიუტერული ტექნოლოგიები და ისტორია“. მსგავსი საგანი („კომპიუტერული ტექნოლოგიები არქეოლოგიაში“) არსებობს არქეოლოგიის პროგრამაშიც, თუმცა მას არჩევითი სტატუსი აქვს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს გააჩნია არქეოლოგიური კვლევითი ბაზები, სადაც როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო პროგრამების სტუდენტებს (მათ შორის, ისტორიკოსებს) შეუძლიათ პრაქტიკის გავლა. გარდა ამისა, უნივერსიტეტში სისტემატურად ტარდება სამეცნიერო კონფერენციები, რომელშიც ისტორიისა და არქეოლოგიის საბაკალავრო თუ სამაგისტრო პროგრამების სტუდენტები აქტიურ მონაწილეობას იღებენ. სხვადასხვა საფეხურის სტუდენტები აქტიურად არიან ჩაბმული ექსპედიციებსა და პროექტებში, რაც ხელს უწყობს ტრანსფერული უნარების ჩამოყალიბებას. ისინი ასევე მონაწილეობას იღებენ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და კრუკოვსკის სახელობის მულტიდისციპლინური კვლევითი ცენტრის მიერ წარმოებულ არქეოლოგიურ ექსპედიციებში ქუთაისის ნაქალაქარზე.

სამაგისტრო დონეზე კვლევის წარმოებისათვის აუცილებელი უნარების გამომუშავებას ემსახურება სამაგისტრო ნაშრომი, რომელსაც სავალდებულო სტატუსი გააჩნია. გარდა ამისა, სამაგისტრო პროგრამებში სავალდებულო სტატუსი აქვს „სამეცნიერო წერას“ და საკურსო ნაშრომს, რომლებსაც სამაგისტრო ნაშრომისათვის მოსამზადებელი ფუნქცია აქვს.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ასევე ისტორიკოსთა და არქეოლოგთა სტუდენტური კლუბები, რაც ასევე ხელს უწყობს ტრანსფერული უნარების განვითარებას.

უსდ-ს გაფორმებული აქვს უამრავი ხელშეკრულება და მემორანდუმი სხვადასხვა ტიპის

დაწესებულებებთან. დამსაქმებლებთან შეხვედრისას გაირკვა, რომ კლასტერში წარმოდგენილი პროგრამების კურსდამთავრებულების მიერ უნივერსიტეტში მიღებული ცოდნა და კომპეტენციები მათთვის სავსებით დამაკმაყოფილებელია.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

**აღწერა და ანალიზი – პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)**

იხ. კლასტერის აღწერა.

**აღწერა და ანალიზი – პროგრამა 2 (ისტორია, მაგისტრატურა)**

იხ. კლასტერის აღწერა.

**აღწერა და ანალიზი – პროგრამა 3 (არქეოლოგია, ბაკალავრიატი)**

იხ. კლასტერის აღწერა.

**აღწერა და ანალიზი – პროგრამა 4 (არქეოლოგია და ანტიკური ცივილიზაციები, მაგისტრატურა)**

იხ. კლასტერის აღწერა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კლასტერში წარმოდგენილი პროგრამები;
- სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ხელშეკრულებები და მემორანდუმები;
- ჩატარებული ინტერვიუს შედეგები.

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

**კლასტერის საერთო რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

**არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ,

გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

**პროგრამა 1** (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**პროგრამა 2** (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

...............

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

| კომპონენტი 2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი /შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (ისტორია, მაგისტრატურა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 (არქეოლოგია, ბაკალავრიატი) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 (არქეოლოგია და ანტიკური ცივილიზაციები, მაგისტრატურა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

კლასტერული შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

ისტორია-არქეოლოგიის კლასტერში შემავალ პროგრამებში, შესაბამისი სასწავლო კურსების

მიხედვით, გამოიყენება შემდეგი მეთოდები:

- ახსნა-განმარტებითი მეთოდი;
- წიგნზე მუშაობის მეთოდი;
- გონებრივი იერიში;
- წერითი მუშაობის მეთოდი;
- დემონსტრირების მეთოდი;
- დედუქციისა და ინდუქციის მეთოდი;
- ევრისტიკული მეთოდი;
- დისკუსია/დებატები;
- ჯგუფური მუშაობა;
- ვერბალური მეთოდი;
- გონებრივი იერიში;
- პრაქტიკული მეთოდები;
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება;
- შემთხვევის ანალიზის (Case study) მეთოდი;
- დემონსტრირების მეთოდი;
- და სხვა.

გარდა უშუალოდ ცოდნის შეძენისა, ჩამოთვლილი სწავლა-სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს სტუდენტებში ავტონომიურობასა და პასუხისმგებლობას და მიმართულია მათში კრიტიკული თუ ანალიტიკური უნარების განვითარებაზე. მოცემული მეთოდები სავსებით შეესაბამება თავიანთ საფეხურებს, პროგრამების მიზნებს, შესაბამისი სასწავლო კურსების შინაარსს და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

**აღწერა და ანალიზი – პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)**

იხ. კლასტერის აღწერა.

**აღწერა და ანალიზი – პროგრამა 2 (ისტორია, მაგისტრატურა)**

იხ. კლასტერის აღწერა.

**აღწერა და ანალიზი – პროგრამა 3 (არქეოლოგია, ბაკალავრიატი)**

იხ. კლასტერის აღწერა.

**აღწერა და ანალიზი – პროგრამა 4 (არქეოლოგია და ანტიკური ცივილიზაციები, მაგისტრატურა)**

იხ. კლასტერის აღწერა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კლასტერში წარმოდგენილი პროგრამები;
- სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ჩატარებული ინტერვიუების შედეგები.

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

**კლასტერის საერთო რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

**არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

**პროგრამა 1** (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**პროგრამა 2** (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

……………

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

| კომპონენტი 2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 2 (ისტორია, მაგისტრატურა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 (არქეოლოგია, ბაკალავრიატი) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 (არქეოლოგია და ანტიკური ცივილიზაციები, მაგისტრატურა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

კლასტერული შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული შეფასების სისტემა იყოფა შემდეგ კომპონენტებად:
საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) შუალედური შეფასების ხვედრითი წილი შეადგენს ჯამურად 60 ქულას, რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს შემდეგი შეფასების ფორმებს:
სტუდენტის აქტივობა სასწავლო სემესტრის განმავლობაში (მოიცავს შეფასების სხვადასხვა კომპონენტებს) – არაუმეტეს 30 ქულა;
შუალედური გამოცდა – არანაკლებ 30 ქულა;
დასკვნითი გამოცდა – 40 ქულა.
დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომლის შუალედური შეფასებების კომპონენტების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეადგენს არანაკლებ 18 ქულას. დასკვნით გამოცდაზე სტუდენტის მიერ მიღებული შეფასების მინიმალური ზღვარი 15 ქულაა. ზოგადად, უსდ-ს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შეფასება შესაბამისობაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მიერ განსაზღვრულ პრინციპებთან.
როგორც თვითშეფასების დოკუმენტშია ასახული, ცოდნის შეფასების ფორმები, კრიტერიუმები და მეთოდები არის გამჭვირვალე, ცალკეული საგნის სილაბუსში გაწერილია ცოდნის შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მოსალოდნელი შედეგის დადგომაზე. შეფასების კომპონენტები განსხვავებულია თითოეული სასწავლო კურსის მიხედვით. სასწავლო კურსებში გამოყენებული შეფასების მეთოდები და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას, შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს.
ცოდნის შეფასების შედეგებზე წვდომა ინდივიდუალურია და კონფიდენციალური, რასაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა.
უსდ-ში მოქმედებს შეფასების შედეგების გასაჩივრების სისტემა, რომელიც ეფუძნება უსდ-ში არსებულ აპელაციის წესს. შესაძლებელია სამაგისტრო ნაშრომის შეფასების გასაჩივრებაც.
უსდ აქტიურად იყენებს ელექტრონულ სასწავლო რესურსებს (Microsoft teams, Moodle), რომელიც ეფექტურად გამოიყენებოდა 2020 წლიდან დაწყებული პანდემიის პირობებში.

სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე დაიშვება სტუდენტი, რომელსაც სასწავლო კურსის მსვლელობისას დააგროვა 90 კრედიტი, დროულად და რეგულაციის წესების დაცვით წარადგინა დასრულებული ნაშრომი, აგრეთვე, წარადგინა ცნობა ნაშრომის პლაგიატზე შემოწმების შესახებ და ხელმძღვანელისა და ნაშრომის რეცენზენტის დასკვნები.
თავად სამაგისტრო ნაშრომი ფასდება 100 ქულით, რომელიც იშლება შემდეგი სახით:
ნაშრომის ფორმალური მხარე:
დასკვნის, სარჩევის, გამოყენებული ლიტერატურის ნუსხის წარმოდგენა – 10 ქულა.
ნაშრომის შინაარსობრივი მხარე:
თემის აქტუალურობა – 20 ქულა
ორიგინალურობა – 10 ქულა
მეთოდების გამოყენება – 10 ქულა
სამეცნიერო რესურსების გამოყენება – 5 ქულა
მსჯელობის ხარისხი: იდეების და / ან კონცეფციების ნათელი და ლოგიკური სტრუქტურა – 15 ქულა
ნაშრომის პრეზენტაცია (ჯამურად – 30 ქულა)
ვერბალური მხარე – 20 ქულა
ტექნიკური და ვიზუალური მხარე – 10 ქულა.

სამაგისტრო ნაშრომის გარდა, სამაგისტრო პროგრამებში სავალდებულო სახე აქვს ე.წ. საკურსო ნაშრომს, რომლის შეფასება სამაგისტრო ნაშრომის თითქმის ანალოგიურია:
ნაშრომის ფორმალური მხარე:
დასკვნის, სარჩევის, გამოყენებული ლიტერატურის ნუსხის წარმოდგენა – 10 ქულა.
ნაშრომის შინაარსობრივი მხარე:
თემის აქტუალურობა – 15 ქულა
ორიგინალურობა – 10 ქულა
მეთოდების შესაბამისობა – 10 ქულა
რელევანტური რესურსების გამოყენება – 10 ქულა
მსჯელობის ლოგიკურობა – 15 ქულა
ნაშრომის პრეზენტაცია (ჯამურად – 30 ქულა)
ვერბალური მხარე – 20 ქულა
ტექნიკური და ვიზუალური მხარე – 10 ქულა.
როგორც სამაგისტრო ნაშრომის, ისე საკურსო ნაშრომის შეფასება ხდება ერთჯერადად, კომისიის მიერ. როგორც ინტერვიუს დროს გაირკვა, აღნიშნული კომისია შედგება ჩვეულებრივ სამი კაცისგან, რომელთაგან ერთ-ერთი არის მაგისტრანტის ხელმძღვანელი, რომელიც შეფასებაში მონაწილეობას არ იღებს. დარჩენილი წევრების შეფასებიდან გამოდის საშუალო არითმეტიკული ქულა, რომელიც წარმოადგენს საბოლოო შეფასებას. ექსპერტთა აზრით, როგორც სამაგისტრო ნაშრომის, ისე საკურსო ნაშრომის შეფასება გადასახედი და გადასამუშავებელია, რადგანაც ამ შემთხვევაში თითოეული შეფასების ხვედრითი წილი ძალიან დიდი გამოდის. ხვედრითი წილის შემცირება შესაძლებელია როგორც კომისიის წევრების გაზრდით, ისე რეცენზენტისთვის შეფასების ნაწილის უფლების გადაცემით, თუმცა ეს პრობლემას მხოლოდ ნაწილობრივ

გადაჭრის. ჩვენი აზრით, თუ სამაგისტრო ნაშრომს არ გააჩნია დასკვნა, სარჩევი და გამოყენებული ლიტერატურის სია, ეს არ არის მხოლოდ ნაშრომის ფორმალური მხარის ვერშესრულება და არ შეიძლება მხოლოდ 10 ქულის დაკლებით შემოიფარგლოს. აქედან გამომდინარე, ორივე ნაშრომის შეფასების კრიტერიუმებიც გადასახედი და შესაცვლელია.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

**აღწერა და ანალიზი – პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)**

იხ. კლასტერის აღწერა.

**აღწერა და ანალიზი – პროგრამა 2 (ისტორია, მაგისტრატურა)**

იხ. კლასტერის აღწერა.

**აღწერა და ანალიზი – პროგრამა 3 (არქეოლოგია, ბაკალავრიატი)**

იხ. კლასტერის აღწერა.

**აღწერა და ანალიზი – პროგრამა 4 (არქეოლოგია და ანტიკური ცივილიზაციები, მაგისტრატურა)**

იხ. კლასტერის აღწერა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამები;
- სილაბუსები;
- შეფასების მეთოდებისა და კრიტერიუმების გზამკვლევი;
- აწსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №5 (17/18) 15.09.2019; № 6, (22/23) 16.09. 2022 - აწსუ-ს სტუდენტთა შეფასების სისტემა;
- აკადემიური საბჭოს 2017 წლის 10 ნოემბრის №9 (17/18) დადგენილება გამოცდების აპელაციის წესის შესახებ;
- სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და შეფასების წესი;
- ინტერვიუები.

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

**კლასტერის საერთო რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

**არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

**პროგრამები 2 და 4** (ისტორია და არქეოლოგია და ანტიკური ცივილიზაციები, მაგისტრატურა)

რეკომენდაცი(ებ)ი:

2.4.1. გადაიხედოს და შეიცვალოს სამაგისტრო და საკურსო ნაშრომების შეფასების წესი იმგვარად, რომ შემცირდეს კომისიის წევრების შეფასების ხვედრითი წილი.

რჩევ(ებ)ი:

**პროგრამა 2** (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

...............

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

| კომპონენტი<br>2.4 სტუდენტების შეფასება | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (ისტორია, მაგისტრატურა) | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 (არქეოლოგია, ბაკალავრიატი) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 (არქეოლოგია და ანტიკური ცივილიზაციები, მაგისტრატურა) | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |

## პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (ისტორია, მაგისტრატურა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 (არქეოლოგია, ბაკალავრიატი) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 (არქეოლოგია და ანტიკური ცივილიზაციები, მაგისტრატურა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

### 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

კლასტერული შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

სტუდენტებს მიეწოდებათ ინფორმაცია სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ, რომელიც შეესაბამება მათ სასწავლო და კვლევის მიზნებს. ამ მიზნით უსდ ახორციელებს შემდეგ ღონისძიებებს: 1) ინფორმაცია სასწავლო პროცესის დაგეგმვის შესახებ განთავსებულია უსდ-ს ვებგვერდზე, რომელიც საჯაროა და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის; 2) პირველკურსელებთან ეწყობა საინფორმაციო შეხვედრები. მათ ასევე მიეწოდებათ ბროშურები ცნობარის სახით, რომელიც შეიცავს ინფორმაციას სასწავლო და დამხმარე სერვისების შესახებ; 3) უსდ-ში მოქმედებს ჯგუფის კურატორებისა (აკადემიური პერსონალი) და ტუტორების (დამამთავრებელი კურსის სტუდენტები) პოზიციები, რომელნიც თანამშრომლობენ საბაკალავრო პროგრამის პირველი და მეორე კურსის სტუდენტებთან და მათ აწვდიან საჭირო ინფორმაციას. ტუტორების არჩევა ხდება კონკურსის გზით; 4) სტუდენტებს საშუალება აქვთ, გამოიყენონ აკადემიურ პერსონალთან კონსულტაციების შესაძლებლობა. კონსულტაციების გრაფიკი სტუდენტებთან შეთანხმების დგინდება; 5) კორპორაციული ელფოსტის საშუალებით სტუდენტებს მიეწოდება ინფორმაცია კონსულტაციების შესახებ; ელფოსტის მისამართი ყველა სტუდენტს გადაეცემა პირველ კურსზე რეგისტრაციის დროს; 6) უსდ-ს გააჩნია საკუთარი ვებგვერდი, გვერდი სოციალურ ქსელში (Facebook), აგრეთვე სპეციალური აპლიკაცია, რომელიც სტუდენტებს აწვდის ინფორმაციას

სასწავლო პროცესის და უსდ-ს სიახლეების შესახებ; 7) სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, რომ სასურველი ინფორმაცია მოითხოვოს სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების სამსახურიდან, აგრეთვე კორპორაციული ელფოსტის მეშვეობით.
უსდ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს სთავაზობს კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას. უსდ-ში ფუნქციონირებს სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების სამსახური, აგრეთვე სტუდენტთა კარიერული განვითარების ცენტრი, რომელიც 2014 წელს შეიქმნა და რომელიც ახორციელებს ვაკანსიების მონიტორინგს, ინფორმაციის მიწოდებას სტუდენტებისთვის, დასაქმების ფორუმებში მონაწილეობას და ა.შ. უსდ მხარს უჭერს კურსდამთავრებულთა ქსელს.
უსდ უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის შიდა საუნივერსიტეტო სივრცეში ინტეგრირებას. ამაში მათ მხარს უჭერს აკადემიური პერსონალი და ტუტორის ინსტიტუტი. სტუდენტს აქვს შესაძლებლობა, უშუალოდ მიიღოს მონაწილეობა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში. უსდ-ში სტუდენტთა ინტერესების დაცვის მიზნით ფუნქციონირებს ომბუდსმენის ოფისი და სტუდენტური თვითმმართველობა. ეს უკანასკნელი ორგანიზებას უწევს სტუდენტთა შემოქმედებით, სპორტულ აქტივობებსა და დასვენების სერვისებს.
პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებში, აგრეთვე საერთაშორისო მობილობაში (მაგალითად, Erasmus+), თუმცა, უმჯობესი იქნება, თუ ამ მიმართულებით უსდ უფრო მეტ ძალისხმევას გამოიჩენს და სტუდენტს დაეხმარება საერთაშორისო პროექტებში უფრო აქტიურად მონაწილეობაში.
უსდ-ს ბიბლიოთეკა მდიდარია წიგნადი ფონდით, არსებობს საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებზე წვდომის შესაძლებლობა.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

**აღწერა და ანალიზი – პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)**

იხ. კლასტერის აღწერა.

**აღწერა და ანალიზი – პროგრამა 2 (ისტორია, მაგისტრატურა)**

იხ. კლასტერის აღწერა.

აღწერა და ანალიზი – პროგრამა 3 (არქეოლოგია, ბაკალავრიატი)

იხ. კლასტერის აღწერა.

აღწერა და ანალიზი – პროგრამა 4 (არქეოლოგია და ანტიკური ცივილიზაციები, მაგისტრატურა)

იხ. კლასტერის აღწერა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- უნივერსიტეტში სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი;
- დადგენილება № 39 (13/14) კურატორის უფლება-მოვალეობების დამტკიცების შესახებ;
- ინტერვიუები;
- პოტენციურ დამსაქმებლებთან დადებული ხელშეკრულებები და მემორანდუმები;
- ინფორმაცია სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების სამსახურის შესახებ: https://atsu.edu.ge/index.php/studentsservice-info;
- ინფორმაცია სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების და დასაქმების ხელშეწყობის შესახებ: https://atsu.edu.ge/index.php/carrier-development-info.

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

**კლასტერის საერთო რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

**არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

**პროგრამა 1** (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**პროგრამა 2** (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

...............

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

| კომპონენტი 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|

| მხარდამჭერი სერვისები | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (ისტორია, მაგისტრატურა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 (არქეოლოგია, ბაკალავრიატი) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 (არქეოლოგია და ანტიკური ცივილიზაციები, მაგისტრატურა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

კლასტერული შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

უსდ-ში მოქმედებს მაგისტრანტის ხელმძღვანელის (და არსებობის შემთხვევაში – თანახელმძღვანელის) დანიშვნის, შეცვლის, უფლება-მოვალეობებისა და ხელმძღვანელობის /თანახელმძღვანელობის პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტები. თითოეულ მაგისტრანტს შესაძლოა ჰყავდეს ხელმძღვანელი და საჭიროების/სურვილის შემთხვევაში ერთი ან ერთზე მეტი თანახელმძღვანელი. თანახელმძღვანელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მხარდაჭერას უწევს მაგისტრანტს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელების პროცესში ხელმძღვანელთან და მაგისტრანტთან შეთანხმების საფუძველზე. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს ამავე უსდ-ს აკადემიური პერსონალი (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი), ემერიტუს-პროფესორი, ან დოქტორის ხარისხის მქონე მოწვეული პირი. სამაგისტრო ნაშრომის თემას, ხელმძღვანელებსა და რეცენზენტებს ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო. დაერთმა პირმა ერთდროულად შესაძლოა უხელმძღვანელოს მაქსიმუმ 5 მაგისტრანტს. ხელმძღანელისა და სამაგისტრო ნაშრომის თემის არჩევის, აგრეთვე ნაშრომის შექმნასთან და დაცვასთან დაკავშირებული საკითხები გაწერილია „სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და შეფასების წესში“.
სწავლების არაუმეტეს ერთი წლის შემდეგ პროგრამის ხელმძღვანელი სამაგისტრო ნაშრომების სავარაუდო თემატიკის წინასწარ შემუშავებულ სიას გააცნობს მაგისტრანტებს, რის შემდეგაც მაგისტრანტს შეუძლია აღნიშნული თემებიდან ერთ-ერთის არჩევა, ან მისთვის სასურველი თემატიკის შეთავაზება.
„სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და შეფასების წესის“ მიხედვით, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის ფუნქციაა დაეხმაროს მაგისტრანტს არჩეული სამაგისტრო საკვლევი თემის შესრულების პროცესის დაგეგმვაში, მისცეს რჩევები, მითითებები კვლევის პროცესთან დაკავშირებით და გაუწიოს კონსულტაცია წამოჭრილ პრობლემებთან დაკავშირებით;

ეტაპობრივად შეამოწმოს თემაზე მუშაობის პროცესი და ა.შ. აუცილებლად უნდა ითქვას, რომ უსდ-ს აკადემიურმა პერსონალმა/ხელმძღვანელებმა/თანახელმძღვანელებმა მაგისტრანტების კონსულტაციებისას მაგისტრანტებს უფრო დეტალურად უნდა აუხსნან სამეცნიერო ნაშრომის წერის ნორმები, რადგან ისტორიის სამაგისტრო პროგრამის ნაშრომების გაცნობის დროს გამოვლინდა აკადემიური წერის ნორმების დარღვევის ფაქტი. აგრეთვე, სასურველია, რომ უფრო დიდი ყურადღება მიექცეს საკურსო ნაშრომის შესრულების პროცესს, რათა ეს იყო ერთგვარად მოსამზადებელი ეტაპი სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისთვის.
აგრეთვე, სასურველია, რომ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებმა და უსდ-ს პერსონალმა გააძლიეროს სტუდენტთა ინფორმირება პლაგიატის შემოწმებისა და გამოვლენის წესების შესახებ.
უსდ-ს გააჩნია სამაგისტრო პროგრამაზე სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელისა და მაგისტრანტთა თანაფარდობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელიც უზრუნველყოფს ხელმძღვანელობის ეფექტურად წარმართვას. აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია და რაოდენობა იძლევა იმის საშუალებას, რომ მაგისტრანტებმა მიიღონ ხელმძღვანელთა სათანადო, კვალიფიციური მხარდაჭერა.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

აღწერა და ანალიზი – პროგრამა 2 (ისტორია, მაგისტრატურა)

ისტორიის სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში სულ მონაწილეობს 16 აკადემიური თუ მოწვეული პერსონალი. აქედან მაგისტრანტებს ხელმძღვანელობს 11. პროგრამაზე დღეისათვის დაფიქსირებულია 27 მაგისტრანტი.

| მაგისტრანტის/დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები<br>პროგრამა 2 (ისტორია, მაგისტრატურა)[4] | |
|---|---|
| სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა | 11 |
| //სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა | |
| მაგისტრანტების რაოდენობა | 27 |
| //დოქტორანტების რაოდენობა | |
| თანაფარდობა – სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელები/მაგისტრანტები | 11/27 |
| თანაფარდობა – სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელები/დოქტორანტები | |

[4] საჭიროების მიხედვით გთხოვთ, დაამატოთ შესაბამისი რაოდენობის ცხრილები კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

აღწერა და ანალიზი – პროგრამა 4 (არქეოლოგია და ანტიკური ცივილიზაციები, მაგისტრატურა)

არქეოლოგიისა და ანტიკური ცივილიზაციების სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში სულ მონაწილეობს 15 აკადემიური თუ მოწვეული პერსონალი. აქედან მაგისტრანტებს ხელმძღვანელობს 3. პროგრამაზე დღეისათვის დაფიქსირებულია 4 მაგისტრანტი.

| მაგისტრანტის/დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები<br>პროგრამა 4 (არქეოლოგია და ანტიკური ცივილიზაციები, მაგისტრატურა) | |
|---|---|
| სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა | 3 |
| //სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა | |
| მაგისტრანტების რაოდენობა | 4 |
| //დოქტორანტების რაოდენობა | |
| თანაფარდობა – სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელები/მაგისტრანტები | 3/4 |
| თანაფარდობა – სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელები/დოქტორანტები | |

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და შეფასების წესი;
- დაცული სამაგისტრო ნაშრომები;
- ინფორმაცია პერსონალის მიმდინარე სემესტრული დატვირთვის შესახებ;
- პერსონალის საქმიანობის (სწავლებისა და კვლევის ხარისხი, საერთაშორისო მობილობის მაჩვენებელი და სხვა) შეფასების შედეგები;
- დადგენილება #173 პროგრამების მიხედვით აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შესახებ;
- აკადემიური პერსონალის CV-ები;
- ინტერვიუები.

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

**კლასტერის საერთო რჩევები:**

**3.2.1.** სასურველია, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებმა და უსდ-ს პერსონალმა გააძლიეროს სტუდენტთა ინფორმირება პლაგიატის შემოწმებისა და გამოვლენის წესების შესახებ.

**არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

**პროგრამა 2** (ისტორია, ბაკალავრიატი)

**3.2.2.** ისტორიის სამაგისტრო პროგრამის სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებმა/თანახელმძღვანელებმა კონსულტაციებისას მაგისტრანტებს უფრო დეტალურად უნდა აუხსნან სამეცნიერო ნაშრომის წერის ნორმები და ამით უზრუნველყონ მაგისტრანტების მიერ აკადემიური წერის შესაბამისი სტანდარტების და ხარისხის სამაგისტრო ნაშრომების მომზადება.

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

**პროგრამა 2** (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

...............

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

| კომპონენტი 3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (ისტორია, მაგისტრატურა) | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 (არქეოლოგია, ბაკალავრიატი) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 (არქეოლოგია და ანტიკური ცივილიზაციები, მაგისტრატურა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (ისტორია, მაგისტრატურა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 (არქეოლოგია, ბაკალავრიატი) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 (არქეოლოგია და ანტიკური ცივილიზაციები, მაგისტრატურა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის/კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

### 4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

კლასტერში გაერთიანებული პროგრამების ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი გამოირჩევა მაღალი კვალიფიკაციითა და თავიანთ დარგებში შესაბამისი სამეცნიერო პუბლიკაციებით. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის პროგრამებზე არსებული ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის შერჩევა ხდება ღია კონკურსის საფუძველზე. პროფესორის თანამდებობაზე ეს კონკურსი ბოლოს ჩატარდა 2018 წელს. გარდა კონკურსებისა, გამოიყენება ატესტაციაც. ასე, მაგალითად, 2019 წელს ჩატარდა

ასოცირებული პროფესორების ატესტაცია, სადაც მოხდა მათ მიერ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში შესრულებული სამუშაოს შეფასება. როგორც აკადემიური, ისე მოწვეული პერსონალის დატვირთვა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას. აკადემიური პერსონალის შემთხვევაში დატვირთვა ყოველი წლის დასაწყისში დგება ინდივიდუალური გეგმის სახით და მოიცავს სასწავლო-საკონტაქტო, სასწავლო-მეთოდურ თუ სამეცნიერო-მეთოდურ მუშაობას. სასწავლო დატვირთვა წლის განმავლობაში შეადგენს 500 საათს, სამეცნიერო-მეთოდური მუშაობა კი – 1000 საათს, რაც უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალის მიერ როგორც სასწავლო, ისე სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ჯეროვან შესრულებას.

ისტორიისა და არქეოლოგიის მიმართულების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელებს გააჩნიათ პროგრამის შემუშავებისთვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება. ისინი უშუალოდ არიან ჩართული პროგრამების განხორციელებაში და გააჩნია შესაბამისი კომპეტენციები საკუთარ დარგებში. როგორც პროგრამების ხელმძღვანელები, ისე სხვა აფილირებული აკადემიური პერსონალი ჩართულია სხვადასხვა საერთაშორისო აკადემიურ ქსელში და ასევე აქვს პირადი პროფესიული საერთაშორისო კავშირები. ისინი მონაწილეობენ საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებსა და კვლევით პროექტებში.

კლასტერში გაერთიანებული პროგრამების სტუდენტებს ემსახურება კომპეტენტური და საკმარისი რაოდენობის ადმინისტრაციული თუ დამხმარე პერსონალი. მათი მაღალი კომპეტენცია საგანგებოდ აღნიშნეს თავად სტუდენტებმა თუ კურსდამთავრებულებმა.გარდა ამისა, კონსულტაციების პროცესში ჩართული არის აკადემიური პერსონალიც.

აღწერა და ანალიზი – პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)

ისტორიის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში სულ ჩართულია 41 ლექტორი, რომელთაგან 24-ს უკავია აკადემიური თანამდებობა (ყველა მათგანი აფილირებულია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტთან), 17 კი არის მოწვეული. როგორც აკადემიური პერსონალი, ისე მოწვეული ლექტორები გამოირჩევიან მაღალი კვალიფიკაციითა და თავიანთ დარგებში შესაბამისი სამეცნიერო პუბლიკაციებით. მათი დატვირთვა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და, აკადემიური პერსონალის შემთხვევაში, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ჯეროვან შესრულებას. აფილირებული აკადემიური პერსონალის უმრავლესობა (3 პროფესორი და 15 ასოცირებული პროფესორი) უშუალოდ დარგის სპეციალისტია. დანარჩენი სამი პროფესორი და სამი ასოცირებული პროფესორი ემსახურება ზოგადსაუნივერსიტეტო ან არჩევით საგნებს (აკადემიური წერა, შესავალი ფილოსოფიაში, ქართული სასულიერო მწერლობა, ანტიკური ლიტერატურის ისტორია, ქართული პალეოგრაფია, მე-20 საუკუნის ქართული პრესა). მოწვეული სპეციალისტებიდან უმრავლესობა (13) უკვე არ არის დარგის სპეციალისტი. მათგან მხოლოდ ერთი უძღვება სავალდებულო საგანს (კომპიუტერული ტექნოლოგიები და ისტორია), დანარჩენებს მიჰყავთ უცხო და კლასიკური ენები.

ისტორიის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისთვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება. ის უშუალოდ არის ჩართული პროგრამის განხორციელებაში და გააჩნია შესაბამისი კომპეტენცია ისტორიის დარგში.

როგორც პროგრამის ხელმძღვანელი, ისე სხვა აფილირებული აკადემიური პერსონალი ჩართულია სხვადასხვა საერთაშორისო აკადემიურ ქსელში და ასევე აქვს პირადი პროფესიული საერთაშორისო კავშირები. ისინი მონაწილეობენ საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებსა და კვლევით პროექტებში.
პროგრამის სტუდენტებს ემსახურება კომპეტენტური და საკმარისი რაოდენობის ადმინისტრაციული თუ დამხმარე პერსონალი. მათი მაღალი კომპეტენცია საგანგებოდ აღნიშნეს თავად სტუდენტებმა თუ კურსდამთავრებულებმა.

| პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი) | | | | |
|---|---|---|---|---|
| **პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)** | პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა | მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი | მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი | მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი |
| სულ აკადემიური პერსონალი | 41 | | | 24 |
| - პროფესორი | 6 | 3 | 3 | 6 |
| - ასოცირებული პროფესორი | 18 | 15 | 15 | 18 |
| - ასისტენტ-პროფესორი | - | - | - | - |
| - ასისტენტი | - | - | - | - |
| მოწვეული პერსონალი | 17 | 4 | 4 | - |
| სამეცნიერო პერსონალი | - | - | - | - |

**აღწერა და ანალიზი – პროგრამა 2 (ისტორია, მაგისტრატურა)**

ისტორიის სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში სულ ჩართულია 24 ლექტორი, რომელთაგან 17-ს უკავია აკადემიური თანამდებობა (ყველა მათგანი აფილირებულია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტთან), 7 კი არის მოწვეული. როგორც აკადემიური პერსონალი, ისე მოწვეული ლექტორები გამოირჩევიან მაღალი კვალიფიკაციითა და თავიანთ დარგებში შესაბამისი სამეცნიერო პუბლიკაციებით. მათი დატვირთვა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და, აკადემიური პერსონალის შემთხვევაში, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ჯეროვან შესრულებას. აფილირებული აკადემიური პერსონალის უმრავლესობა (3 პროფესორი და 8 ასოცირებული პროფესორი) უშუალოდ დარგის სპეციალისტია. მოწვეული სპეციალისტებიდან ორი არის დარგის სპეციალისტი, დანარჩენი ხუთი კი უძღვება არასპეციალობის საგნებს (უცხო ენებსა და ციფრულ მედიასა და წიგნიერებას).

ისტორიის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელებს გააჩნიათ პროგრამის შემუშავებისთვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება. ისინი უშუალოდ არის ჩართული პროგრამის განხორციელებაში და გააჩნიათ შესაბამისი კომპეტენცია ისტორიის დარგში.
როგორც პროგრამის ხელმძღვანელები, ისე სხვა აფილირებული აკადემიური პერსონალი ჩართულია სხვადასხვა საერთაშორისო აკადემიურ ქსელში და ასევე აქვს პირადი პროფესიული საერთაშორისო კავშირები. ისინი მონაწილეობენ საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებსა და კვლევით პროექტებში.
პროგრამის სტუდენტებს ემსახურება კომპეტენტური და საკმარისი რაოდენობის ადმინისტრაციული თუ დამხმარე პერსონალი. მათი მაღალი კომპეტენცია საგანგებოდ აღნიშნეს თავად სტუდენტებმა თუ კურსდამთავრებულებმა.

პროგრამა 2 (ისტორია, მაგისტრატურა)

| პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი) | პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა | მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი | მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი | მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი |
|---|---|---|---|---|
| სულ აკადემიური პერსონალი | **24** | **24** | **24** | **18** |
| - პროფესორი | 5 | 3 | 3 | 7 |
| - ასოცირებული პროფესორი | 12 | 8 | 8 | 12 |
| - ასისტენტ-პროფესორი | - | - | - | - |
| - ასისტენტი | - | - | - | - |
| მოწვეული პერსონალი | 7 | 2 | 2 | - |
| სამეცნიერო პერსონალი | - | - | - | - |

**აღწერა და ანალიზი – პროგრამა 3 (არქეოლოგია, ბაკალავრიატი)**

არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში სულ ჩართულია 36 ლექტორი, რომელთაგან 16-ს (6 პროფესორი და 10 ასოცირებული პროფესორი) უკავია აკადემიური თანამდებობა (ყველა მათგანი აფილირებულია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტთან), 20 კი არის მოწვეული (აქედან ერთი არის უცხოელი სპეციალისტი). როგორც აკადემიური პერსონალი, ისე მოწვეული ლექტორები გამოირჩევიან მაღალი კვალიფიკაციითა და თავიანთ დარგებში შესაბამისი სამეცნიერო პუბლიკაციებით. მათი დატვირთვა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და, აკადემიური პერსონალის შემთხვევაში, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ჯეროვან შესრულებას. აფილირებული აკადემიური პერსონალის უმრავლესობა (3 პროფესორი და 7 ასოცირებული პროფესორი) უშუალოდ დარგის

სპეციალისტია. მოწვეული სპეციალისტებიდან უმრავლესობა (13) უკვე არ არის დარგის სპეციალისტი და ისინი ძირითადად უცხო და კლასიკური ენებს ასწავლიან.
არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისთვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება. ის უშუალოდ არის ჩართული პროგრამის განხორციელებაში და გააჩნია შესაბამისი კომპეტენცია ისტორიის დარგში.
როგორც პროგრამის ხელმძღვანელი, ისე სხვა აფილირებული აკადემიური პერსონალი ჩართულია სხვადასხვა საერთაშორისო აკადემიურ ქსელში და ასევე აქვს პირადი პროფესიული საერთაშორისო კავშირები. ისინი მონაწილეობენ საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებსა და კვლევით პროექტებში.
პროგრამის სტუდენტებს ემსახურება კომპეტენტური და საკმარისი რაოდენობის ადმინისტრაციული თუ დამხმარე პერსონალი. მათი მაღალი კომპეტენცია საგანგებოდ აღნიშნეს თავად სტუდენტებმა თუ კურსდამთავრებულებმა.

| პროგრამა 3 (არქეოლოგია, ბაკალავრიატი) | | | | |
|---|---|---|---|---|
| **პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)** | პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა | მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი | მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი | მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი |
| **სულ აკადემიური პერსონალი** | **36** | | | **24** |
| **- პროფესორი** | 6 | 3 | 3 | 6 |
| **- ასოცირებული პროფესორი** | 10 | 7 | 7 | 10 |
| **- ასისტენტ-პროფესორი** | - | - | - | - |
| **- ასისტენტი** | - | - | - | - |
| **მოწვეული პერსონალი** | 20 | 6 | 1 | - |
| **სამეცნიერო პერსონალი** | - | - | - | - |

**აღწერა და ანალიზი – პროგრამა 4 (არქეოლოგია და ანტიკური ცივილიზაციები, მაგისტრატურა)**

არქეოლოგიისა და ანტიკური ცივილიზაციების სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში სულ ჩართულია 20 ლექტორი, რომელთაგან 13-ს უკავია აკადემიური თანამდებობა (ყველა მათგანი აფილირებულია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტთან), 7 კი არის მოწვეული. როგორც აკადემიური პერსონალი, ისე მოწვეული ლექტორები გამოირჩევიან მაღალი კვალიფიკაციითა და თავიანთ დარგებში შესაბამისი სამეცნიერო პუბლიკაციებით. მათი

დატვირთვა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და, აკადემიური პერსონალის შემთხვევაში, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ჯეროვან შესრულებას. აფილირებული აკადემიური პერსონალის უმრავლესობა (4 პროფესორი და 8 ასოცირებული პროფესორი) უშუალოდ დარგის სპეციალისტია. მოწვეული სპეციალისტებიდან ერთი არის დარგის სპეციალისტი, დანარჩენი ექვსი კი უძღვება არასპეციალობის საგნებს.
არქეოლოგიისა და ანტიკური ცივილიზაციების სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისთვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება. ის უშუალოდ არის ჩართული პროგრამის განხორციელებაში და გააჩნია შესაბამისი კომპეტენცია დარგში.
როგორც პროგრამის ხელმძღვანელები, ისე სხვა აფილირებული აკადემიური პერსონალი ჩართულია სხვადასხვა საერთაშორისო აკადემიურ ქსელში და ასევე აქვს პირადი პროფესიული საერთაშორისო კავშირები. ისინი მონაწილეობენ საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებსა და კვლევით პროექტებში.
პროგრამის სტუდენტებს ემსახურება კომპეტენტური და საკმარისი რაოდენობის ადმინისტრაციული თუ დამხმარე პერსონალი. მათი მაღალი კომპეტენცია საგანგებოდ აღნიშნეს თავად სტუდენტებმა თუ კურსდამთავრებულებმა.

| პროგრამა 4 (არქეოლოგია და ანტიკური ცივილიზაციები, მაგისტრატურა) | | | | |
|---|---|---|---|---|
| **პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)** | პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა | მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი | მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი | მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი |
| **სულ აკადემიური პერსონალი** | 20 | | | 13 |
| **- პროფესორი** | 4 | 2 | 2 | 4 |
| **- ასოცირებული პროფესორი** | 9 | 5 | 5 | 9 |
| **- ასისტენტ-პროფესორი** | - | - | - | - |
| **- ასისტენტი** | - | - | - | - |
| **მოწვეული პერსონალი** | 7 | 1 | - | - |
| **სამეცნიერო პერსონალი** | - | - | - | - |

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის პირადი მონაცემები;
- კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის საქმიანობის დამადასტურებელი დოკუმენტები;

- აწსუ-ს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და პროცედურები;
- პროგრამის ხელმძღვანელების ფუნქციები;
- პერსონალის სემესტრული დატვირთვა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- აწსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილება №173 (28.02.2018) აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამების მიხედვით აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შესახებ.
- აწსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №61 (21/22), 06.06.2022 – აკადემიური პერსონალის, ემერიტუსის, მასწავლებლის და ხელშეკრულებით მოწვეული სპეციალისტების წლიური სასწავლო და სამეცნიერო მეთოდური დატვირთვის ნორმების შესახებ;
- თანამდებობრივი ინსტრუქციები (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებიდან);
- ჩატარებული ინტერვიუების შედეგები.

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

**კლასტერის საერთო რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

**პროგრამა 1** (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**პროგრამა 2** (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

……………

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

| კომპონენტი 4.1 ადამიანური რესურსი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (ისტორია, მაგისტრატურა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 (არქეოლოგია, ბაკალავრიატი) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 (არქეოლოგია და ანტიკური ცივილიზაციები, მაგისტრატურა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

### 4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული რეგულაციების მიხედვით, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს აკადემიური პერსონალი (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი) ან ემერიტუს-პროფესორი. გარდა ამისა, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელად, პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინებით, დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, დეპარტამენტის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით, შეიძლება მოიწვიოს დოქტორის ხარისხის მქონე პირი. სამაგისტრო ნაშრომს შეიძლება ჰყავდეს თანახელმძღვანელიც.
სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის ფუნქციები – დაეხმაროს მაგისტრანტს საკვლევი თემის შესრულების პროცესის დაგეგმვაში, მისცეს რჩევები ან მითითებები, გაუწიოს კონსულტაცია თემასთან დაკავშირებულ სხვადასხვა პრობლემებზე, ეტაპობრივად შეამოწმოს მუშაობის პროცესი და მოამზადოს დასკვნა ნაშრომის დასრულების შემდეგ – გაწერილია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და შეფასების წესში.
სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს შეუძლია კონკრეტული ნაშრომის ხელმძღვანელობაზე უარის თქმაც, რისთვისაც მან ფაკულტეტის დეკანს უნდა წარუდგინოს განმარტებითი ბარათი და დაასაბუთოს ხელმძღვანელობაზე უარის თქმის მიზეზი.
კლასტერში დაჯგუფებული სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელებს წარმოადგენენ შესაბამისი კვალიფიკაციისა და კომპეტენციების მქონე პირები, რომლებიც ჩართული არიან სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში და მაგისტრანტებისთვის შეთავაზებული კვლევითი მიმართულებების შესაბამისად აქვთ გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები.
ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფს გაუჩნდა კითხვა, თუ რატომ არ წერია სამაგისტრო ნაშრომის შესაძლო ხელმძღვანელებში ასისტენტ-პროფესორები, ვინაიდან დღეისათვის არსებული კანონმდებლობით ამ აკადემიური თანამდებობის დაკავება შეუძლია მხოლოდ დოქტორის

აკადემიური ხარისხის მქონე პირს. ინტერვიუების დროს გაირკვა, რომ ასისტენტ-პროფესორს შეუძლია სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა შესაბამისი ნებართვის არსებობის შემთხვევაში. ვინაიდან კლასტერში გაერთიანებული პროგრამების განხორციელებაში მონაწილე აკადემიურ პერსონალში ასისტენტ-პროფესორები უბრალოდ არ ირიცხება (ისტორია-არქეოლოგიის დეპარტამენტში ასისტენტ-პროფესორი არ არის), ექსპერტთა ჯგუფმა თავი შეიკავა ამ საკითხთან დაკავშირებით რეკომენდაციის ან რჩევის მიცემისაგან, რადგანაც აღნიშნული პროგრამების განხორციელებაზე ეს გავლენას არ ახდენს.

აღწერა და ანალიზი – პროგრამა 3 (ისტორია, მაგისტრატურა)

„ისტორიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებად განსაზღვრულია შესაბამისი კვალიფიკაციის და კომპენტენციების მქონე აკადემიური პერსონალი – 11 პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი (ყველა მათგანი აფილირებულია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტთან), რომლებიც ჩართული არიან სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში მიმართულებების მიხედვით და გამოქვეყნებული აქვთ მაგისტრანტებისთვის შეთავაზებული კვლევითი მიმართულებების შესაბამისი სამეცნიერო ნაშრომები.

| პროგრამა 3 (ისტორია, მაგისტრატურა) | | | |
|---|---|---|---|
| სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა | ნაშრომების ხელმძღვანელები | მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები | მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი |
| სულ სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა | 11 | 11 | 11 |
| - პროფესორი | 3 | 3 | 3 |
| - ასოცირებული პროფესორი | 8 | 8 | 8 |
| - ასისტენტ-პროფესორი | - | - | - |
| მოწვეული პერსონალი | - | - | - |
| სამეცნიერო პერსონალი | - | - | - |

აღწერა და ანალიზი – პროგრამა 4 (არქეოლოგია და ანტიკური ცივილიზაციები, მაგისტრატურა)

არქეოლოგიისა და ანტიკური ცივილიზაციების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებად განსაზღვრულია შესაბამისი კვალიფიკაციის და კომპენტენციების მქონე აკადემიური პერსონალი – 1 პროფესორი და 2 ასოცირებული პროფესორი (ყველა მათგანი აფილირებულია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტთან), რომლებიც ჩართული არიან სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში მიმართულებების მიხედვით და გამოქვეყნებული აქვთ მაგისტრანტებისთვის შეთავაზებული კვლევითი მიმართულებების

შესაბამისი სამეცნიერო ნაშრომები.

| პროგრამა 4 (არქეოლოგია და ანტიკური ცივილიზაციები, მაგისტრატურა) | | | |
|---|---|---|---|
| სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა | ნაშრომების ხელმძღვანელები | მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები | მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი |
| სულ სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა | 4 | 4 | 4 |
| - პროფესორი | 1 | 1 | 1 |
| - ასოცირებული პროფესორი | 2 | 2 | 2 |
| - ასისტენტ-პროფესორი | - | - | - |
| მოწვეული პერსონალი | - | - | - |
| სამეცნიერო პერსონალი | - | - | - |

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის პირადი მონაცემები;
- კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის საქმიანობის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და შეფასების წესი;
- თვითშეფასების ანგარიში;
- სამაგისტრო ნაშრომები;
- ჩატარებული ინტერვიუების შედეგები.

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

**კლასტერის საერთო რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის

შემთხვევაში)

**პროგრამა 1** (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**პროგრამა 2** (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

...............

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

| კომპონენტი 4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (ისტორია, მაგისტრატურა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 (არქეოლოგია, ბაკალავრიატი) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 (არქეოლოგია და ანტიკური ცივილიზაციები, მაგისტრატურა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

კლასტერული შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს. უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას, კერძოდ, ლექტორ-მასწავლებლებს საშუალება აქვთ გაეცნონ საჭირო ინფორმაციას სხვადასხვა დაგეგმილი ადგილობრივი და საერთაშორისო ღონიძიებებისა და პროექტების (მიმდინარე და დაგეგმილი კონფერენციები, გაცვლითი პროგრამები, გრანტები, საჯარო ლექციები, კარიერული განვითარების შესაძლებლობები და სხვ.) შესახებ ფაკულტეტის ოფიციალური ვებგვერდის მეშვეობით. ასევე პრაქტიკოს მასწავლებლებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო თუ ადგილობრივ სამეცნიერო-კვლევით ღონისძიებებში, ტრენინგებში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დაგეგმილი ტრენინგები და სამუშაო შეხვედრებში; მაგალითად, 2016 წლის ივნისში აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარდა ტრენინგები შემდეგ თემებზე: ხარისხის კულტურა და ხარისხის გაუმჯობესების უწყვეტი პროცესი; ცოდნის მენეჯმენტი აკადემიურ სივრცეში, საუნივერსიტეტო ცოდნის ანალიზი; კურსის მონიტორინგი და ევროპული სტანდარტები; განათლება მდგრადი განვითარებისათვის. 2019 წელს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ინიციატივით გაიმართა სამუშაო შეხვედრა-ტრენინგი „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო, სწავლის სფეროების კლასიფიკატორი", რომელსაც უძღვებოდა განათლების განვითრების ეროვნული ცენტრის, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი თეა ნადირაძე; 2020 წელს საგანმანათლებლო პროგრამაში სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისა და შეფასების შესახებ აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ორგანიზებით, ჩატარდა ტრენინგი მოწვეული ექსპერტის მიერ. ასევე, 2019 წლის 1-2 ნოემბერს ფაკულტეტის ხარისხის სამსახურისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელობით ორგანიზებულ, თანამედროვე სამეცნიერო და საგანმანათლებლო ტენდენციების ამსახველ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში „ჰუმანიტარული მეცნიერებები გლობალიზაციის ეპოქაში“. გარდა ამისა, აკადემიურ პერსონალს შეუძლია ისარგებლოს ანაზღაურებადი სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულებით. პერსონალს შეუძლია ისარგებლოს უცხო ენის შემსწავლელი კურსებითაც.

პერსონალის შეფასება უნივერსიტეტის საკადრო პოლიტიკის შემდგენელი და განუყოფელი ნაწილია. აკადემიური პერსონალის შესაფასებლად გამოიყენება სასწავლო წლის ფარგლებში წინასწარი ინდივიდუალური დატვირთვით განსაზღვრული სასწავლო და სამეცნიერო-მეთოდური საქმიანობის შეფასება. აკადემიური პერსონალის სასწავლო-მეთოდურ მუშაობას ამოწმებს ფაკულტეტის დეკანატი, დეპარტამენტის ხელმძღვანელი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, რექტორის მოადგილე. მუდმივად ხდება საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის პირადი მონაცემების (CV) ელექტრონული ვერსიების შექმნა-განახლება.

წლიური დატვირთვების შესრულების გარდა ფაკულტეტზე რეგულარულად წარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასება კოლეგიალური ურთიერთდასწრების პოლიტიკის საშუალებით. დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროგრამის ხელმძღვანელი და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პერიოდულად ახდენს ურთიერთდასწრების შედეგების

ანალიზს, რის საფუძველზეც ხდება სწავლების პროცესში ძლიერი და გასაუჯობესებელი მხარეების გამოყოფა. აკადემიური პერსონალი ფასდება როგორც წლიური დატვირთვების შესრულების და კოლეგიალური ურთიერთდასწრების პოლიტიკის საშუალებით, ისე სტუდენტთა გამოკითხვების გზით. სტუდენტების კმაყოფილების კვლევას ატარებს მარკეტინგის, პროექტებისა და ღონისძიებების მართვის სამსახური, ასევე ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

**აღწერა და ანალიზი – პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)**

იხ. კლასტერის აღწერა.

**აღწერა და ანალიზი – პროგრამა 2 (ისტორია, მაგისტრატურა)**

იხ. კლასტერის აღწერა.

**აღწერა და ანალიზი – პროგრამა 3 (არქეოლოგია, ბაკალავრიატი)**

იხ. კლასტერის აღწერა.

**აღწერა და ანალიზი – პროგრამა 4 (არქეოლოგია და ანტიკური ცივილიზაციები, მაგისტრატურა)**

იხ. კლასტერის აღწერა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში;
- კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის პირადი მონაცემები;
- საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცედურა EP-QA 1.2;
- ურთიერთდასწრებისა და სააუდიტორიო მუშაობის შეფასების პოლიტიკა. EP-QA 1.2;
- აწსუ-ს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და პროცედურები;
- აწსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №12(22/23), 29.09.2022 უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მიერ მაღალრეიტინგულ სამეცნიერო გამოცემებში სტატიების გამოქვეყნების წახალისების შესახებ;
- ჩატარებული ინტერვიუების შედეგები.

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო

პროგრამებს

**კლასტერის საერთო რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

**არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

**პროგრამა 1** (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

**პროგრამა 2** (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

...............

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

| კომპონენტი 4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (ისტორია, მაგისტრატურა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 (არქეოლოგია, ბაკალავრიატი) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 (არქეოლოგია და ანტიკური ცივილიზაციები, მაგისტრატურა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი

საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

კლასტერში დაჯგუფებული პროგრამები უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სსიპ – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს კლასტერში შემავალი პროგრამების სწავლის შედეგების მიღწევას. აწსუ-ს სასწავლო კორპუსები, უნივერსიტეტის ცენტრალური და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკა და სამკითხველო დარბაზები, უნივერსიტეტის და ფაკულტეტის კომპიუტერული ცენტრები, აწსუ-ს სამედიცინო პუნქტი, ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებები, პანდუსები (ინკლუზიური სტუდენტებისათვის) და ა.შ. აღჭურვილია თანამედროვე სასწავლო/სამეცნიერო ტექნოლოგიებით, სასწავლო და სალექციო ოთახებით. დეპარტამენტების სალექციო და პრაქტიკული სივრცე, სასწავლო აუდიტორიები). ბიბლიოთეკის ვებგვერდი აერთიანებს ბიბლიოთეკის ფუნქციონირებისათვის ყველა ძირითად ინფორმაციას. მათ შორისაა ელექტრონული კატალოგი, ელექტრონული დაჯავშნა, ელექტრონული რესურსები, ბიბლიოთეკათშორისი სერვისი, წიგნების ელექტრონული შეკვეთა და სხვა. ელექტრონული კატალოგი (http://atsu.library.ac.ge) წარმოადგენს ინტეგრირებულ საბიბლიოთეკო სისტემას (ILS-Integrated Library System) და მოიცავს შემდეგ ძირითად ფუნქციებს: რესურსების კატალოგიზაცია/ინვენტარიზაცია, ვებკატალოგი (OPAC – Online Public Access Catalogue), ცირკულაცია, ანგარიშგება (რეპორტინგი), სინქრონიზაცია სხვა ანალოგებთან. ელექტრონულ კატალოგში ჩაშენებულია მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი და უდიდესი გუტენბერგის ბიბლიოთეკა (მთლიანად გაციფროვნებულია) და Google Search, რომელიც საშუალებას აძლევს მკითხველს/მომხმარებელს ერთი ფანჯრის პრინციპით მოიძიოს და გამოიყენოს მასში განთავსებული საბიბლიოთეკო რესურსები. საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკას გააჩნია მდიდარი წიგნადი ფონდი და მრავალფეროვანი ელექტრონული რესურსები. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებულ ლიტერატურას. ბეჭდურის გარდა, ბიბლიოთეკას გააჩნია ელექტრონული რესურსები, როგორიცაა: ელექტრონული წიგნები, აუდიო წიგნები, აუდიო-ვიდეო ლექციები და სასწავლო მასალები, პერიოდული გამოცემები და სხვა. ელექტრონული ბიბლიოთეკა მოიცავს ყველა შინაარსის ელექტრონულ ლიტერატურას. ბიბლიოთეკის მკითხველისათვის შეიქმნა ელექტრონული კატალოგისა და ბიბლიოთეკის ელექტრონული გზამკვლევი, ბიბლიოთეკა ყველა დაინტერესებულ მკითხველს სთავაზობს ბიბლიოთეკათშორის მომსახურებას, რომელიც გულისხმობს სხვა ბიბლიოთეკებიდან დროებით ისეთი კოლექციებით სარგებლობას, რომელიც ჩვენს ბიბლიოთეკაში არ მოიპოვება. აწსუ-ს ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს წვდომას მრავალფეროვან ელექტრონულ რესურსებზე (https://library.atsu.edu.ge/scientific-bases.html),

რომლებიც აერთიანებს ათასობით სამეცნიერო ჟურნალსა და წიგნს: Elsevier – Scopus (https://www.scopus.com/home.uri), Elsevier – ScienceDirect (https://www.sciencedirect.com/), Education Resources Information Center (https://eric.ed.gov/), EIFL (https://eifl.remotexs.xyz/user/login), JURN (http://www.jurn.org), Academic Research Sharing Platform ACADEMIA (https://www.academia.edu/), Perlego (www.perlego.com) და ა.შ.

**აღწერა და ანალიზი – პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)**

ვინაიდან ყველა პროგრამა ხორციელება აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის ისტორია-არქეოლოგიის დეპარტამენტის ბაზაზე, იხ. კლასტერის აღწერა.

**აღწერა და ანალიზი – პროგრამა 2 (ისტორია, მაგისტრატურა)**

ვინაიდან ყველა პროგრამა ხორციელება აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის ისტორია-არქეოლოგიის დეპარტამენტის ბაზაზე, იხ. კლასტერის აღწერა.

**აღწერა და ანალიზი – პროგრამა 3 (არქეოლოგია, ბაკალავრიატი)**

ვინაიდან ყველა პროგრამა ხორციელება აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის ისტორია-არქეოლოგიის დეპარტამენტის ბაზაზე, იხ. კლასტერის აღწერა.

**აღწერა და ანალიზი – პროგრამა 4 (არქეოლოგია და ანტიკური ცივილიზაციები, მაგისტრატურა)**

ვინაიდან ყველა პროგრამა ხორციელება აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის ისტორია-არქეოლოგიის დეპარტამენტის ბაზაზე, იხ. კლასტერის აღწერა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ვებგვერდი – https://library.atsu.edu.ge/ge/home;
- სამეცნიერო ბაზები – https://library.atsu.edu.ge/ge/p/scientific-bases;
- სწავლების ელექტრონული პორტალი – https://online.atsu.edu.ge/;
- უნივერსიტეტის ინფრასტუქტურის დათვალიერების შედეგები;
- ჩატარებული ინტერვიუების შედეგები.

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო

პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

**კლასტერის საერთო რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

**პროგრამა 1** (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

**პროგრამა 2** (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

...............

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

| კომპონენტი 4.4 მატერიალური რესურსი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (ისტორია, მაგისტრატურა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 (არქეოლოგია, ბაკალავრიატი) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 (არქეოლოგია და ანტიკური ცივილიზაციები, მაგისტრატურა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ყველა პროგრამა უზრუნველყოფილია საუნივერსიტეტო ბიუჯეტიდან. შესაბამისად, კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების დაფინანსებაც ხდება უსდ-ში არსებული რეგულაციების თანახმად. ფაკულტეტებს ყოველწლიურად გამოეყოფათ თავიანთი ხარჯვის ლიმიტი, რომელიც განისაზღვრება ფაკულტეტების მიერ წარმოდგენილი საბიუჯეტო განაცხადების საფუძველზე. ხარჯვითი ლიმიტის მოცულობა, ისევე როგორც საბიუჯეტო პრიორიტეტების დოკუმენტი, განისაზღვრება უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ. უშუალოდ საგანმანათლებლო პროგრამების ბიუჯეტის გაანგარიშება ხდება პროგრამის სასწავლო კომპონენტის, პრაქტიკისა და კვლევითი კომპონენტების მიხედვით. პროგრამის ბიუჯეტის ფორმირება ხდება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს №175 (28.02.2018) და №82 (21.12.2021) დადგენილებების შესაბამისად. ყოველივე ეს უზრუნველყოფს კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების ფინანსურ მდგრადობას.

**აღწერა და ანალიზი – პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)**

იხ. კლასტერის აღწერა.

**აღწერა და ანალიზი – პროგრამა 2 (ისტორია, მაგისტრატურა)**

იხ. კლასტერის აღწერა.

**აღწერა და ანალიზი – პროგრამა 3 (არქეოლოგია, ბაკალავრიატი)**

იხ. კლასტერის აღწერა.

**აღწერა და ანალიზი – პროგრამა 4 (არქეოლოგია და ანტიკური ცივილიზაციები, მაგისტრატურა)**

იხ. კლასტერის აღწერა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ბიუჯეტები;
- უნივერსიტეტის ბიუჯეტი;

- თვითშეფასების ანგარიში;
- ჩატარებული ინტერვიუების შედეგები.

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

**კლასტერის საერთო რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

**პროგრამა 1** (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**პროგრამა 2** (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**...............**

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

| კომპონენტი 4.5 პროგრამის/ფაკულტეტის/ სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (ისტორია, მაგისტრატურა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 (არქეოლოგია, ბაკალავრიატი) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 4 (არქეოლოგია და ანტიკური ცივილიზაციები, მაგისტრატურა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (ისტორია, მაგისტრატურა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 (არქეოლოგია, ბაკალავრიატი) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 (არქეოლოგია და ანტიკური ცივილიზაციები, მაგისტრატურა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

### 5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ხელმძღვანელობს შიდა და გარე შეფასების ინსტრუმენტებით და ფართოდ იყენებს ციკლურ პროცესს, რომელიც ეყრდნობა პრინციპს **დაგეგმვა, განხორციელება, შეფასება და გაუმჯობესება.** უნივერსიტეტში შემუშავებული საგანმანათლებლო პოლიტიკა და მარეგულირებელი დოკუმენტები უზრუნველყოფს აღნიშნული ციკლური ხასიათის წარმართვას.
უნივერსიტეტში ხარისხის შიდა სისტემა ეფუძნება სამ ძირითად პოლიტიკას:
I. საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა – EP-QA;
II. კვლევის განვითარების პოლიტიკა – RE-QA;
III. მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესების პოლიტიკა – ME-QA.

საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა (EP-QA), თავის მხრივ ემსახურება შედეგზე ორიენტირებული პროგრამების შექმნის და განვითარების, მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის, სტუდენტური სერვისების მიწოდების, სტუდენტების თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ძირითადი კომპეტენციების მქონე სპეციალისტებად ჩამოყალიბებას, სტუდენტთა შემდგომი დასაქმებისა და სწრაფად ცვალებად გარემოში წარმატებული ადაპტაციის ხელშეწყობას.
აღნიშნული ხორციელდება 3 ძირითადი პროცედურის მიხედვით, როგორიცაა:
1. EP-QA 1.1 საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების, დაგეგმვისა და დამტკიცების პროცედურა;
2. EP-QA 1.2 საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცედურა;
3. EP-QA 1.3 მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცედურა.
მასალათა გაცნობით და ინტერვიუების პროცესით დადგინდა, რომ კლასტერში წარმოდგენილი პროგრამების ინიცირება განხორციელდა სწორედ გაწერილი პროცედურების შესაბამისად.
პირველ ეტაპზე მოხდა პროგრამის სამუშაო ჯგუფის შექმნა და ჯგუფის წევრებს შორის პასუხისმგებლობების გადანაწილება. პროგრამაზე მომუშავე ჯგუფმა შეისწავლა პროგრამის შინაარსობრივი საკითხები, რესურსებით უზრუნველყოფა, დაინტერესებულ მხარეთა მოსაზრებები, გამოკითხვების შედეგები, შრომის და განათლების ბაზარზე არსებული ტენდენციები და ა.შ.
უნდა ითქვას, რომ შრომის ბაზრის კვლევის დოკუმენტი მოიცავდა დასაქმების ბაზარზე, დამსაქმებელთა მხრიდან საჭიროებათა იდენტიფიცირებას. დოკუმენტი უფრო რაოდენობრივ კვლევაზე იყო დაფუძნებული და ნაკლებად იკვეთებოდა გამოკითხვის შედეგების ერთიანი შეჯამება და იმ გარემოებათა ხაზგასმა რასაც შრომის ბაზარი დღეისათვის ამ მიმართულებით ითხოვს. ასევე სასურველია მსგავს დოკუმენტში ჩანდეს, თუ შრომის ბაზრის კვლევიდან გამომდინარე, რა გასაუმჯობესებელი მხარეები გამოიკვეთა და რა გამოცდილება იქნა პროგრამაზე მუშაობისას გაზიარებული და რა კუთხით განაპირობა ამ მოსაზრებებმა პროგრამაში გარკვეული ცვლილებების შეტანის აუცილებლობა.
უნდა ითქვას, რომ პროგრამის განახლების პროცესში განხორციელდა კურიკულუმის რუკის ანალიზი, პროგრამის მიზნების, შედეგებისა და მათ ფორმირებაში მონაწილე პროგრამის სავალდებულო კომპონენტების ურთიერთშესაბამისობის დადგენა, პროგრამის გარე კოლეგიალური შეფასება. დასრულებული პროგრამის პროექტი განიხილა და დაამტკიცა აკადემიურმა საბჭომ. ეს პროცესები დოკუმენტურადაც არის გაწერილი და რეალურადაც განხორციელდა, რაც წარმოდგენილი დოკუმენტებითა და ჩატარებული ინტერვიუებით დადასტურდა.
პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუს შემდეგ აღინიშნა, რომ პროგრამის განვითარების მიზნით განხორციელდა გარკვეული ცვლილებები. პირველ რიგში კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების მისანიჭებელი კვალიფიკაციები განისაზღვრა განახლებული სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მიხედვით.
სასწავლო კურსების სპეციფიკის გათვალისწინებით მრავალფეროვანი გახდა სწავლების მეთოდები. სილაბუსებში გადამოწმდა და განახლდა ლიტერატურა, თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მიღწევისთვის დაიხვეწა, გამრავალფეროვნდა შეფასების სისტემა და

დეტალურად გაიწერა შეფასების კრიტერიუმები. ცვლილება განხორციელდა შეფასების სისტემაში. კერძოდ, გაიზარდა სტუდენტის აქტივობის კომპონენტის ხვედრითი წილი. როგორც ინტერვიუებზეც დაფიქსირდა იგეგმება ამ აქტივობის კომპონენტის ხვედრითი წილის კიდევ უფრო გაზრდა.
წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით და ინტერვიუების პროცესზე დაკვირვებით უნდა ითქვას, რომ პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში.
თვითშეფასების ჯგუფის წევრებმა აღნიშნეს, რომ პროგრამის შემუშავების პროცესში ჯგუფს კონსულტირებას უწევდა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, პროგრამის განმახორციელებლებმა კი დაადასტურეს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურიდან ყოველთვის აქვთ სათანადო მხარდაჭერა. წარმოდგენილი დოკუმენტებითა და ჩატარებული ინტერვიუებითაც დადასტურდა, რომ პროგრამის განმახორციელებლებს უტარდებათ პერიოდული ტრეინინგები (მაგ., სწავლა-სწავლების მეთოდებში, სილაბუსის შედგენაში).
წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლითა და ინტერვიუებით დადგინდა:

- პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა და მართვა ხორციელდება უსდ-ს მიერ დამტკიცებული რეგულაციების მიხედვით, რაც უზრუნველყოფს ყველა პროცესის მიმდინარეობის გამჭვირვალობას. გამოკითხვათა პერიოდულობა და მათი ანალიზი შესაძლებლობას იძლევა განხორციელდეს შედეგებზე სისტემატური დაკვირვება და დადარება;
- პროგრამის განახლებაზე მომუშავე ჯგუფის მუშაობა იყო გამჭირვალე, კომპლექსური. იგრძნობოდა სხვადასხვა რგოლის ჩართულობა მისი განახლების პროცესის მთლიანი მიმდინარეობისას, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტებით და ინტერვიუების შედეგებით;
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი უზრუნველყოფილია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მუდმივი მხარდაჭერით, მათ შორის საჭირო ტრეინინგებით;
- პროგრამის განახლებისას და ზოგადად პროგრამის განვითარებისას აქტიურად გამოიყენება დაინტერესებული მხარეების მოსაზრებების შესწავლა, მათი ანალიზი, ამ ანალიზის შედეგად გასაუმჯობესებელი მხარეების გამოყოფა.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

აღწერა და ანალიზი – პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)

იხ. კლასტერის აღწერა.

აღწერა და ანალიზი – პროგრამა 2 (ისტორია, მაგისტრატურა)

იხ. კლასტერის აღწერა.

**აღწერა და ანალიზი – პროგრამა 3 (არქეოლოგია, ბაკალავრიატი)**

იხ. კლასტერის აღწერა.

**აღწერა და ანალიზი – პროგრამა 4 (არქეოლოგია და ანტიკური ცივილიზაციები, მაგისტრატურა)**

იხ. კლასტერის აღწერა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია;
- საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა-EP-QA;
- საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების, დაგეგმვისა და დამტკიცების პროცედურა (EP-QA 1.1);
- სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი;
- აკადემიური პერსონალის გამოკითხვის შედეგები;
- კურსდამთავრებულთა გამოკითხვების შედეგები;
- პროგრამის გარე შეფასება;
- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ 2022 წლის განმავლობაში შესრულებული სამუშაოს ანგარიში, წარმოდგენილი პრეზენტაციის სახით;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ჩატარებული ინტერვიუების შედეგები.

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

**კლასტერის საერთო რჩევები:**

**5.1.1.** სასურველია, შრომის ბაზრის კვლევის დოკუმენტში ჩანდეს, თუ ამ კვლევიდან გამომდინარე, რა გასაუმჯობესებელი მხარეები გამოიკვეთა, რა გამოცდილება იქნა პროგრამაზე მუშაობისას გაზიარებული და რა კუთხით განაპირობა ამ მოსაზრებებმა პროგრამაში გარკვეული ცვლილებების განხორციელების აუცილებლობა.

**არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

**პროგრამა 1** (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

...............

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

| კომპონენტი 5.1 შიდა ხარისხის შეფასება | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (ისტორია, მაგისტრატურა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 (არქეოლოგია, ბაკალავრიატი) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 (არქეოლოგია და ანტიკური ცივილიზაციები, მაგისტრატურა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

კლასტერული შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი იყენებს გარე შეფასების ინსტრუმენტებს პროგრამული აკრედიტაციისთვის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების მომზადების პროცესში.
საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების გარე მექანიზმები ეფუძნება „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებასა“ და „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებას“.
უნივერსიტეტი გარე შეფასების შედეგებს იყენებს პროგრამის განვითარების/გაუმჯობესების მიზნით. პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა და მართვა ხორციელდება უსდ-ს მიერ

დამტკიცებული რეგულაციების მიხედვით, რაც უზრუნველყოფს ყველა პროცესის მიმდინარეობის გამჭვირვალობას.
წარმოდგენილი პროგრამები შეფასდა რამდენიმე გარე შემფასებლის მიერ. პროგრამის გარე კოლეგიალურ შეფასებაში მონაწილეობა მიიღეს კომპეტენტურმა გარე შემფასებლებმა პარტნიორი უნივერსიტეტებიდან. არცერთი გარე შემფასებელი არ იყო შესაფასებელი პროგრამის წარმომადგენელი, არ გახლდათ დაინტერესებული მხარე, შეფასებისას დაცული იყო ეთიკის ნორმები, თითოეულ მათგანს გააჩნია შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციები.
გარე შეფასებისას პროგრამა საერთო ჯამში შეფასდა დადებითად ყველა შემფასებლის მიერ. თუმცა სასურველია, გარე კოლეგიალური შეფასებების დოკუმენტთან დაკავშირებით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გასცეს რეკომენდაცია, რომ გარე შემფასებელთა შეფასება იყოს უფრო დეტალური, გამოიკვეთოს გასაუმჯობესებელი მხარეები და გაიცეს უფრო მკაფიო რეკომენდაციები პროგრამასთან დაკავშირებით, რომ დოკუმენტი არ ატარებდეს ზოგად, ზედაპირულ ხასიათს.
პროგრამის რეაკრედიტაციისას საჭირო არ გახდა ასევე 2011-2012 წლის აკრედიტაციის საბჭოს მხრიდან გამოთქმული რეკომენდაციების გათვალისწინება, ვინაიდან მათი დიდი ნაწილი 2017 წელს უკვე შესრულდა.
უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ინტერვიუში მონაწილე პროგრამის კურსდამთავრებულებმა და დამსაქმებლებმა დააფიქსირეს, რომ პროგრამა სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს და იმსახურებს დადებით დასკვნას.
გარდა ამისა, დამსაქმებლებმაც აღნიშნეს, რომ პროგრამა თავისი შინაარსით პასუხობს დარგში არსებულ მოთხოვნებს და იმსახურებს დადებით შეფასებას.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

აღწერა და ანალიზი – პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)

იხ. კლასტერის აღწერა.

აღწერა და ანალიზი – პროგრამა 2 (ისტორია, მაგისტრატურა)

იხ. კლასტერის აღწერა.

აღწერა და ანალიზი – პროგრამა 3 (არქეოლოგია, ბაკალავრიატი)

იხ. კლასტერის აღწერა.

აღწერა და ანალიზი – პროგრამა 4 (არქეოლოგია და ანტიკური ცივილიზაციები, მაგისტრატურა)

იხ. კლასტერის აღწერა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები;
- გარე კოლეგიალური შეფასებები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ჩატარებული ინტერვიუების შედეგები.

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

**კლასტერის საერთო რჩევები:**

**5.2.1.** სასურველია, გარე კოლეგიალური შეფასებების დოკუმენტთან დაკავშირებით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გასცეს რეკომენდაცია, რომ გარე შემფასებელთა შეფასება იყოს უფრო დეტალური, გამოიკვეთოს გასაუმჯობესებელი მხარეები და გაიცეს უფრო მკაფიო რეკომენდაციები პროგრამასთან დაკავშირებით, რომ დოკუმენტი არ ატარებდეს ზოგად, ზედაპირულ ხასიათს.

**არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

**პროგრამა 1** (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**პროგრამა 2** (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**……………**

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

| კომპონენტი<br>5.2 გარე ხარისხის შეფასება | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია | ნაწილობრივ შესაბამისობაშია | არ არის შესაბამისობაში |
|---|---|---|---|---|

| | | მოთხოვნებთან | მოთხოვნებთან | მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (ისტორია, მაგისტრატურა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 (არქეოლოგია, ბაკალავრიატი) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 (არქეოლოგია და ანტიკური ცივილიზაციები, მაგისტრატურა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუებით გამოიკვეთა, რომ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ხელმძღვანელობს „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონით, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის დებულებებით, უნივერსიტეტის წესდებით, სხვა ნორმატიული დოკუმენტებითა და სტანდარტებით.

საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგი და შეფასების პროცესი ხორციელდება უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცედურის მიხედვით, რომელიც გამოიყენება საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისათვის, მოქმედი პროგრამების განახლებისა და განვითარებისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგი და შეფასების პროცესი ხორციელდება შემდეგი აქტივობების/ღონისძიებების გამოყენებით:

ა) პროგრამის მონიტორინგი, რომელსაც ახორციელებს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. მიღებული შენიშვნები და რეკომენდაციები პერიოდულად აისახება საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებებისა და დამატებების სახით.

ბ) დაინტერესებული პირების (სტუდენტი, ლექტორი, დამსაქმებელი, კურსდამთავრებული) გამოკითხვები.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ წარმოდგენილი ანგარიშებით დასტურდება, რომ დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვები პერმანენტულ ხასიათს ატარებს და გამოკითხვებით მიღებული შედეგები და ანალიზის საფუძველზე გაკეთებული დასკვნები ემსახურება საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სასურველია, სტუდენტების კითხვარები წარმოდგენილი იყოს უფრო ინფორმაციულად და სტუდენტებს მიეცეთ უფრო მკაფიო მოსაზრებების დაფიქსირების საშუალება, რათა შესაბამისმა სამსახურებმა იცოდეს სტუდენტების აზრი და შეძლოს თვალყური ადევნოს პროგრესს, რომელიც განხორციელდა სტუდენტების მიერ გამოთქმული მოსაზრებების საფუძველზე.

გ) ურთიერთდასწრების პროცესის ანალიზი, რომელსაც ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, იძლევა სხვადასხვა საგნების სწავლების ხარისხის შეფასების, ხარვეზების გამოვლენისა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავების საშუალებას, საჭიროებების შემთხვევაში.

დ) სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი სრულდება შესაბამისი ფაკულტეტის ადმინისტრაციის მიერ, რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით, რაც ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით შემდეგი მონაცემების შეგროვებას, როგორიცაა ჩატარებული გამოცდების რაოდენობა, გამოცდებზე დაშვებული სტუდენტების რაოდენობა, ECTS-ის მიხედვით მიღებული დადებითი და უარყოფითი შეფასებების მაჩვენებელი, იმ სასწავლო კურსების დადგენა, სადაც ფიქსირდება უმაღლესი შეფასებების (A და B), ან დაბალი შეფასებების (E და D) მაღალი პროცენტული მაჩვენებელი და მიზეზების დადგენა. ხდება მონაცემების შედარება წინა სემესტრების მაჩვენებლებთან. უსდ-მ წარმოადგინა სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზებიც თანდართული მტკიცებულების სახით.

ე) კურსდამთავრებულთა დასაქმების ანალიზი - ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად ყოველწლიურად აკეთებს კურსდამთავრებულთა გამოკითხვას დასაქმებასთან დაკავშირებით.

ვ) პროგრამაში ჩართული პირების (აკადემიური, მოწვეული) გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით მიღებული განვითარების ანალიზი და მათი მხრიდან განხორციელებული აქტივობები წარმოდგენილი იყო შესაბამისი ანგარიშების სახით.

აკრედიტაციაზე წარმოდგენილ პროგრამებზე მუშაობისას განხორციელდა სხვადასხვა ტიპის აქტივობები:

- განხორციელდა შრომის და განათლების ბაზრის კვლევა;
- სისტემატურად ხორციელდებოდა სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი;
- ჩატარდა აკადემიური პერსონალის სამუშაოთი კმაყოფილებსა და ჩართულობის კვლევა;
- ჩატარდა სტუდენტების გამოკითხვები;
- ჩატარდა კურსდამთავრებულთა გამოკითხვა და შესწავლილ იქნა კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროები და მიღებული განათლებით კმაყოფილება.

პროგრამის ხელმძღვანელისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლების განმარტებით, საუკეთესო პრაქტიკების გაზიარების მიზნით, შესწავლილ იქნა რამდენიმე ადგილობრივი უსდ-ს ანალოგიური პროგრამები.

გარდა უკვე მოქმედი მექანიზმებისა, შემუშავებულია პროგრამის შედეგების მიღწევის შეფასების მექანიზმი - პროგრამის თითოეული შედეგისთვის სამიზნე ნიშნულის დადგენა და მათთან მიღებული შედეგის დადარება. სამიზნე ნიშნულებთან დადარება მოხდება პროგრამათა მთლიანი ციკლის დასრულების შემდეგ, ხოლო ყოველწლიურ შესწავლას და რეაგირებას

დაექვემდებარება სტუდენტების აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი, რაც, ასევე, მნიშვნელოვანია პროგრამის საბოლოო შედეგების მიღწევისათვის.

საჭიროების შემთხვევაში, **აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით**

**აღწერა და ანალიზი – პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)**

იხ. კლასტერის აღწერა.

**აღწერა და ანალიზი – პროგრამა 2 (ისტორია, მაგისტრატურა)**

იხ. კლასტერის აღწერა.

**აღწერა და ანალიზი – პროგრამა 3 (არქეოლოგია, ბაკალავრიატი)**

იხ. კლასტერის აღწერა.

**აღწერა და ანალიზი – პროგრამა 4 (არქეოლოგია და ანტიკური ცივილიზაციები, მაგისტრატურა)**

იხ. კლასტერის აღწერა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია;
- საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის შეფასების პროცედურა (EP-QA 1.2);
- მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცედურა (EP-QA 1.3);
- შრომისა და განათლების ბაზრის კვლევა;
- პროგრამის სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი;
- აკადემიური პერსონალის გამოკითხვის შედეგები;
- კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები;
- სტუდენტთა გამოკითხვები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

კლასტერის საერთო რჩევები:

**5.3.1.** სასურველია, სტუდენტების კითხვარები წარმოდგენილი იყოს უფრო ინფორმაციულად და სტუდენტებს მიეცეთ უფრო მკაფიო მოსაზრებების დაფიქსირების საშუალება, რათა შესაბამისმა სამსახურებმა იცოდეს სტუდენტების აზრი და შეძლოს თვალყური ადევნოს პროგრესს, რომელიც

განხორციელდა სტუდენტების მიერ გამოთქმული მოსაზრებების საფუძველზე.

**არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

**პროგრამა 1** (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**პროგრამა 2** (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**……………**

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

| კომპონენტი 5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (ისტორია, მაგისტრატურა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 (არქეოლოგია, ბაკალავრიატი) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 (არქეოლოგია და ანტიკური ცივილიზაციები, მაგისტრატურა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

| 5. სწავლების ხარისხის განვითარების | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია | ნაწილობრივ შესაბამისობაშია | არ არის შესაბამისობაში |
|---|---|---|---|---|

| შესაძლებლობები | | მოთხოვნებთან | მოთხოვნებთან | მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (ისტორია, მაგისტრატურა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 (არქეოლოგია, ბაკალავრიატი) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 (არქეოლოგია და ანტიკური ცივილიზაციები, მაგისტრატურა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში):

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სახელწოდება, საფეხურები:
ისტორია, ბაკალავრიატი
ისტორია, მაგისტრატურა
არქეოლოგია, ბაკალავრიატი
არქეოლოგია და ანტიკური ცივილიზაციები, მაგისტრატურა

## პროგრამების სტანდარტებთან შესაბამისობა

| პროგრამა / სტანდარტი | 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები |
|---|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი) | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |
| პროგრამა 2 (ისტორია, მაგისტრატურა) | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |
| პროგრამა 3 (არქეოლოგია, ბაკალავრიატი) | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |
| პროგრამა 4 (არქეოლოგია და ანტიკური ცივილიზაციები, მაგისტრატურა) | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა თეიმურაზ პაპასქირი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა ემზარ კახიძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა ემზარ მაკარაძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა ირინე დემეტრაძე-რენცი

სახელი, გვარი, ხელმოწერა ნინო პატარაია

სახელი, გვარი, ხელმოწერა გიორგი არქანია